პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
სამშაბათი,
12
მარტი
1936 წ.
№ 61 (4117)

## დღეს ნომერში

— ლენინ - სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ციხე-სიმაგრე. (მოწინავე).
— კომკავშირი და სკოლა („პრავდის“ მოწინავე—1 გვ.).
— აზნავთის და სარეწაოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე (1 გვ.).
— საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება (მე-2 გვ.).
— ლ. ქიაჩელი—„ორსანტია“ (მე-2 გვ.).
— შეაგროვეთ ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები („კომსომოლსკაია პრავდის“ მოწოდება—მე-2 გვ.)
— ამხ. ლიტვინოვის პასუხი ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტს.
— უცხოეთის ინფორმაცია: იტალია და საბერძნეთის ამბები; გერმანია აჭიანურებს მოლაპარაკებას;

# ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ციხე-სიმაგრე

1922 წლის 12 მარტს ა.კ. საბჭოთა რესპუბლიკების კონფერენციამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება **ამიერკავკასიის ფედრაციის დაარსების შესახებ.**

ეს გადაწყვეტილება, რომელიც გამოხატავს მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობის ნებისყოფას სამეურნეო-პოლიტიკური შემჭიდროვებისა და დიდი სოციალისტური მშენებლობისათვის, მიღებულ იქნა ამხ. **ლენინის და სტალინის** მითითებით, მათი დახმარებით, ამხ. **ორჯონიკიძის** ხელმძღვანელობით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ბურჟუაზიის ნაშთები და მათი აგენტურა—ნაციონალ-უკლონისტები გარკვეულ წინააღმდეგობას უწევდენ ა.კ. ფედერაციის დაარსების იდეას, მშრომელთა ერთსულოვნებამ მაინც გაიმარჯვა და პარტიის ხელმძღვანელობით არა თუ შექმნა ა. კ. ფედრაცია, არამედ ამ 13 წლის განმავლობაში არნახულ დონეზე აიყვანა მასში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო - კულტურული და პოლიტიკური წარმატება, მათი თვითინიციატივის გაშლის საფუძველზე.

პარტიამ გაანადგურა ნაციონალ უკლონისტები და ყველა მათი მოკავშირენი, რომლებიც ხელს უშლიდენ ა. კ. ფედერაციის განმტკიცებას, მოძმე რესპუბლიკების შემჭიდროვებას. პარტიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო ადგილობრივ ნაციონალიზმს, არამედ დიდმპყრობელურ შოვინისტურ გადახრასაც, რომელიც წყალს ასხამდა ბურჟუაზიის წისქვილზე. დაუნდობელ და თანმიმდევარ ბრძოლაში ორ ფრონტზე, დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების საფუძველზე, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შესძლეს ა. კ. ფედერაციის გადაქცევა საბჭოთა კავშირის ერთ - ერთ მოწინავე რესპუბლიკად, შექმნეს აქ ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში, რაც გაუგონარია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა ყრილობებზე ხოლო შემდეგ ა.კ. საბჭოთა ყრილობაზე ა.კ. მშრომელებმა შეაჯამეს თავიანთი დიდი მიღწევები სამეურნეო - კულტურული მშენებლობის ფრონტზე, ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის დარგში.

საბჭოთა ამიერკავკასია ბოლშევიკებმა გადააქციეს საბჭოების ქვეყნის მარგალიტად, სადაც ჩქეფს ბაქოს ნავთის შადრევნები, მაღაროებიდამ ამოაქვთ ასი ათასობით ტონა ქვა-ნახშირი, მარგანეცი და სპილენძი, სადაც მდინარეების ძალა, ელექტრო-ენერგიად ქცეული, სოციალიზმის მზესავით ანათებს განახლებულ ქალაქებს და სოფლებს, სადაც ჩაის, ციტრუსების ბამბის პლანტაციები თვალწარმტაც ხალიჩებივით გაფენილან საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ამიერკავკასია აყვავდა და იქცა მხარედ.

„სადაც ყვავის ლიმონთა ბაღი,
და ფოთლებს შორის ოქროსავით ბრწყინავს თურინჯი,
სადაც ნიავი ლაჟვარდოვან ცის ქვეშ შრიალებს,
სადაც ხარობენ მორცხვი მირტი და დაფნა დიდი“.

ლენინ - სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ა.კ. სამეურნეო კულტურული განვითარება ჩქარი ტემპებით. ამ პოლიტიკამ უზრუნველჰყო მისი გადაქცევა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად, სადაც მრეწველობის პროდუქცია სახალხო შემოსავალში 78,9 პროც. აღწევს სადაც გასულ წელს მრეწველობამ 1.700 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა; ა.კ. იქცა ქვეყნად, სადაც კოლმეურნეობებში დარაზმულია სოფლის მშრომელი მოსახლეობის 45 პროც., სადაც ბამბის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების პროდუქციის დიდ ნაწილს კოლმეურნეობები იძლევიან, ქვეყნად, სადაც მშრომელთა მილიონებმა თავი დააღწიეს სიღატაკეს, სიბნელს უვიცობას და საკუთარ ხელში აიღეს ახალი სოციალისტური ცხოვრების მოწყობის საქმე.

უდიდესი მიღწევები, რომელსაც თავისი არსებობის 13 წლის თავზე აღნუსხავენ ა.კ. ფედერაცია და მასში შემავალი რესპუბლიკები, იმ დიდი ყურადღების და დახმარების შედეგია, რომელსაც ჩვენ გვიწევდა და გვიწევს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, ლენინის პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხ. **სტალინი** ამიერკავკასიის გამობრძმედილი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც აღზარდა დიადმა სტალინმა, თანამიმდევრად ახორციელებს მისი საუკეთესო მოწაფის ამხ. **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით, საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, ცენტრალური კომიტეტის და დიდი ბელადის ყველა მითითებას და მკლავებდაკაპიწებული აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად.

ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხ. ბერიას მეთაურობით, ა.კ. ბოლშევიკებმა, რომლებიც წარმოადგენენ ლენინის პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ერთგულ რაზმს, ჯერ არ ნახულად შეამჭიდროვეს ა.კ. მუშები და კოლმეურნეები დიადი და საყვარელი სტალინის გარშემო და ამ შემჭიდროვების და ერთსულოვნების საფუძველზე მიაღწიეს დიდ გამარჯვებებს ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ფედერაციის მე-14 წელი, 1936 წელი, იქნება საბჭოთა ამიერკავკასიის შემდეგში ზრდის და აყვავების წელი.

ჩვენ უდიდესი ამოცანები გვაკისრია. საბჭოების საკავშირო ყრილობაზე ჩვენ ბოლშევიკური სიტყვა მივეცით მთელ ქვეყანას ამოვიღოთ მიმდინარე წელს 22 მილიონი ტონა ნავთი; ჩვენ მიზნათ დავისახეთ წელს გამოვუშვათ 2. 152,4 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მაღაროებს გამოვსტაცოთ 475 ათასი ტონა ქვანახშირი და 1.150 ათასი ტონა მარგანეცი. სტალინური წესდების საფუძველზე კიდევ უფრო გავზარდოთ და გავამაგროთ კოლმეურნეობანი, გავხადოთ ისინი ბოლშევიკურად, გადავაქციოთ კოლმეურნეები შეძლებულებად, კიდევ უფრო ავამაღლოთ მშრომელი მასების კეთილდღეობა და საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, დიდი სტალინის მეთაურობით განუხრელად ვიაროთ წინ, სოციალისტური საზოგადოების გზაზე.

საბჭოთა ამიერკავკასია, ლენინურ - სტალინურ ნაციონალური პოლიტიკის პირმშო, საბჭოების ქვეყნის ეს ფორპოსტი აღმოსავლეთის საზღვარზე, კიდევ უფრო მაღლა დაიჭერს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, სოციალისტური მშენებლობის დროშას, ლენინ - სტალინის დროშას, რადგან მას და მხოლოდ მას მოაქვს ხსნა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

# სამედიცინო მუშაკები მიესალმებიან

## პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებას ჯანმრთელობისათვის ასიგნოვებათა გადიდების შესახებ

**მოსკოვი,** 11 მარტი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის უამრავი დეპეშები პარტიის და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა გამო, რომლებიც ეხება ხელფასის მომატებას სამედიცინო მუშაკებისათვის და ასიგნოვების გადიდებას ჯანმრთელობისათვის 1936 წელს. სამედიცინო მუშაკები მხურვალედ მიესალმებიან ამ გადაწყვეტილებებს და სთვლიან მათ მთავრობის და ამხანაგ **სტალინის** დაუღალავ ზრუნვად საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობაზე.

პეტროგრადის რაიონის ტუბდისპანსერის კოლექტივი (ლენინგრადი) აცხადებს, რომ იგი ყოველივე ღონეს იხმარს იმისათვის, რათა გაძლიეროს ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ.

ვორონეჟის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები რიცხვით 352 კაცი, მიესალმებიან რა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, კისრულობენ შეუპოვრად იბრძოლონ სოციალიზმის მშენებელთა ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის. სტუდენტები პირობას იძლევიან, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ გაემგზავრებიან მუშაობის ადგილზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მითითებით.

ბელორუსიის სამედიცინო მუშაკებმა **პარტიის და მთავრობის** გადაწყვეტილებათა საპასუხოდ გამოაცხადეს საწარმოო ლაშქრობა საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებისათვის.

# ბრიტანეთის მინისტრის მოსკოვში გამგზავრების გარშემო

## ამხ. მ. მ. ლიტვინოვის პასუხი ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე.

ჰავასის სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა გ. რ. ქილმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს მ. მ. ლიტვინოვს მიმართა შეკითხვით მართალია თუ არა ცნობები, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიწვია მოსკოვში სახელმწიფო ბეჭდის შემნახველი ლორდი ა. იდენი და თუ ეს ცნობები სიმართლეს შეეფერება, როდის არის მოსალოდნელი ეს დარბაზობა.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტს უპასუხა შემდეგი:

„როგორც კი საბჭოთა მთავრობამ მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ ბრიტანეთის მთავრობას განზრახული აქვს გაგზავნოს მოსკოვში ბ-ნი იდენი, საბჭოთა მთავრობამ ლონდონში თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მეშვეობით აცნობა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ იგი მოხარული იქნება მიესალმოს ბ-ნ იდენს მოსკოვში და იწვევს მას ჩამოვიდეს ჩვენს დედაქალაქში. რაც შეეხება ბ-ნ იდენის დარბაზობის თარიღს, იგი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული“. (ადს)

# საფრანგეთ-გერმანიის ფაშისტების ანტისაბჭოთა ბლოკი

**პარიზი,** 10 მარტი. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ცნობა ინგლის-გერმანიის მოლაპარაკების გადიდების შესახებ, საფრანგეთის პრესამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლა მოსალოდნელია გერმანიის ახალი მანევრი სახელდობრ საფრანგეთთან წათამაშების ცდა, ეს მოსაზრება, როგორც დღევანდელ ცნობებიდან ჩანს, გამართლდა. მაგალითად, „მატენი“ იუწყება, რომ პარიზში უკვე ოთხი დღეა იმყოფებიან ეგრეთწოდებულ „გერმანიის ყოფილ ფრონტელთა“ წარმომადგენლები, რომელნიც აწარმოებენ მოლაპარაკებას „ყოფილ ფრონტელთა სამოკავშირეთაშორისო გაერთიანების“ ფრანგული სექციის თავმჯდომარესთან — **ჟანდებონთან.** ამ მოლაპარაკების შინაარსი, რომელიც წარმოებს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების ლოზუნგით, აშკარად ჩანს გერმანიის წარმომადგენელთა განცხადებაში. „გულუბრყვილობა იქნებოდა, განაცხადეს მათ, — იმ ფაქტის უარყოფა, რომ ჩვენ ვიარაღდებით, მაგრამ საჭიროა თქვენ იცოდეთ მიზეზები და მიზნები. მიზეზია ეროვნული თავმოყვარეობა“. შემდეგ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საჭიროა „დასავლეთის ცივილიზაციის ქვეყნების გაერთიანება კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (ადს).

# იტალია და საბერძნეთის ამბები

**ლონდონი,** 9 მარტი. „დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს თავისი ბელგრადელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობისწრეებში სერიოზულად უყურებენ ბალკანეთში შექმნილ მდგომარეობას. განსაკუთრებით შიშს იწვევს ბულგარეთის საომარი მზადება სამხრეთ სლავიის წრეებში ფიქრობენ, რომ იტალიას წილი მიუძღვის საბერძნეთის ამბებში. იტალია, — აღნიშნავენ ამ წრეებში, — მხარს უჭერდა ამ ცოტახნის წინათ ბულგარეთში მომხდარ გადატრიალებას, რომელმაც დაამხო **გეორგიევის** მთავრობა, და მხარს უჭერს აგრეთვე მოძრაობას, რომელსაც სათავეში უდგას **ვენიზელოსი.** აღნიშნავენ აგრეთვე, — იუწყება გაზეთი, — რომ თუ ვენიზელისმა გაიმარჯვა, მისი პირველი ნაბიჯი იქნება დენონსირება ბალკანეთის პაქტისა, რომლის წინააღმდეგაც იგი მუდამ გააფთრებით იბრძოდა. სამხრეთ სლავიის პოლიტიკური წრეები გამოთქვამენ იმას, რომ იტალიის შთაგონებით ვენიზელოსსა და ბულგარეთს შორის, ალბათ, წარმოებდა მოლაპარაკება საიდუმლო შეთანხმების შესახებ, რომლითაც ვენიზელოსი ბულგარეთს მისცემდა ეგეის ზღვაში გასვლის გარანტიას, რომლისკენაც იგი დიდიხანია მიისწრაფვის, სამაგიეროდ ბულგარეთი იკისრებდა ვალდებულებას ხელი შეეწყო საბერძნეთ-ბულგარეთ-ალბანეთის ანტანტის შექმნისათვის იტალიის მფარველობით, ბალკანეთის ანტანტისთვის დასაპირისპირებლად. სამხრეთ-სლავიის აზრით, ეს დაარღვევდა ძალთა წონასწორობას ბალკანეთში. სამხრეთ-სლავიის პასუხისმგებელ წრეებში აცხადებენ, რომ სამხრეთ-სლავია ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოითმენს ბულგარეთის ჯარების გადასვლას საბერძნეთის ტერიტორიაზე. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბალკანეთის პაქტის თანახმად, სამხრეთ სლავია ვალდებულია საჭირო შემთხვევაში იარაღით დაიცვას საბერძნეთის ტერიტორიის მთლიანობა. „დეილი ჰერალდის“ დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, იტალოფილური საბერძნეთი იტალოფილურ ბულგარეთთან ერთად იტალიას მისცემდენ სტრატეგიულ კონტროლს ბალკანეთზე (ადს).

# გერმანია აჭიანურებს მოლაპარაკებას

**პარიზი,** 10 მარტი. აქ ირონიულად ეკიდებიან გერმანიიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ **ჰიტლერი** აპირებს ბავარიაში გამგზავრებას „ჯანმრთელობის აღსადგენად“ და რომ ამიტომ მას არ შეუძლია **საიმონის** მიღება მარტის დამლევამდე.

როგორც ტაბუი იტყობინება „ევრში“ უცხოეთის დიპლომატიური წრეები ბერლინში არ მოელიან ინგლის - გერმანიის მოლაპარაკების წარმატებას. პირველ ყოვლისა გერმანიას სურს უზრუნველჰყოს თავისი მოქმედების თავისუფლება შეიარაღების დარგში და იგი შეეცდება განიხილოს ყველა მცირეოდენი დეტალიც კი, მოითხოვს რა თვეებს პასუხის გაცემისათვის. მიუხედავად ამისა, ამ წრეების აზრით, მოლაპარაკება აუცილებელია იმისთვის, რომ არ აწყენინონ გერმანიას და პოლონეთს, მათი აზრით, უმჯობესია დათმობებზე წასვლა და კონვენციის დადების მიღწევა.

ტაბუი აღნიშნავს გერმანია - პოლონეთის დამოკიდებულების გაუარესებას ბალტიკის საკითხთან დაკავშირებით. ტაბუის აზრით, პოლონეთ - გერმანიის შეთანხმებამ შეიძლება მეტად არა ხელსაყრელი გავლენა მოახდინოს ორივე ქვეყნის მეტოქეობამ, მათმა მისწრაფებამ ექსპანსიისაკენ ბალტიკაში. გერმანია ფიქრობდა, რომ პოლონეთი დათანხმდებოდა გავლენის სფეროების გარკვეულ გაყოფაზე და შეურიგდებოდა ნაციონალ - სოციალისტების ინტრიგებს მემელსა და დანციგში. გერმანიის ინტრიგების საპასუხოდ პოლონეთის მთავრობამ ბალტიკის ქვეყნებში გაგზავნა [illegible] გენერალური შტაბის უფროსი. პოლონეთის გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები რომელთა დედააზრი გამოიხატება შემდეგში:

„პოლონეთმა უნდა მოითხოვოს გერმანიისაგან, რომ მან შესწყვიტოს შეტევა ბალტიკის ქვეყნებზე საერთოდ და მემელზე კერძოდ“. ამან სენსაცია გამოიწვია ბერლინში (ადს).

ესკადრონის ნაღმოსანი „პსარა“ და კრეისერი „ავეროვი“, რომლებიც სხვა აჯანყებულ გემებთან ერთად მოიხსნენ და წავიდნენ კუნძულ კრიტისაკენ, სადაც იმყოფება მოძრაობის ხელმძღვანელი ვენიზელოსი.

# აზნავთის და სარეწაოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე

**ბაქო,** 11 მარტი. გუშინ ტექნიკის სახლში შესდგა აზნავთის, სარეწაოების, ბუროვისა და ექსპლოატაციის ჯგუფების და ნავთის მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების ხელმძღვანელ მუშაკთა ფართო თათბირი.

თათბირს დაესწრენ საქ. კ.პ.(ბ) ა. - კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ბერია და აზერბეიჯანის კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის მდივანი ამხ. მ. დ. ბაგიროვი, საქ. კ.პ.(ბ) ა. - კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. კუდრიავცევი, აზერბეიჯანის კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. აგრბა, აზერბეიჯანის კ.პ.(ბ) ბაქოს კომიტეტის მდივანი ამხ. ამატუნი, ნავთის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ეფუნი, აზნავთის მმართველი ამხ. პეტერსონი და მისი მოადგილეები ამხ. ბორცი და დადაშევი, აზერბეიჯანის კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ბიუროს წევრები, ბაქოს ორგანიზაციის რაიკომების მდივნები.

— 1936 წლის პირველი კვარტალის 2 თვისა და ათი დღის განმავლობაში ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკებმა 400 ათას ტონაზე მეტი ნავთი დააკლეს ჩვენს ქვეყანას — სთქვა თავის მოხსენებაში აზნავთის მმართველმა ამხ. პეტერსონმა.

ჩვენ ცუდად ვმუშაობთ. მდგომარეობა საგანგაშოა. გარღვევა აქვთ იმ სარეწაოებსაც კი, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს 1934 წლის გეგმა.

წინანდებურად ჩამორჩენილია ძირითადი გადამწყვეტი მაჩვენებლები—ჭაბურღილების დროული, ტექნიკურად გამართული გათხრა. იანვარსა და თებერვალში 131 ჭაბურღილის ნაცვლად დამთავრებულია მხოლოდ 84.

საჭიროა ყველა ჩვენი დეფექტის გულდასმით ანალიზი, საჭიროა ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

აზნავთის თვითეულმა ხელმძღვანელმა თავიდან ბოლომდე სრული ანგარიში უნდა მისცეს თავისთავს მდგომარეობის სერიოზულობაში და გამოიყვანოს სათანადო დასკვნები.

კამათში გამოვიდნენ ამხ. კუზმინი (აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს დირექტორი), მურადბეილი (მიქოიანის სახელობის სარეწაოს დირექტორი), მამედოვი (სტალინის სახელობის სარეწაოს დირექტორი), პეტროსიანი (კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს დირექტორი), გაზარიანი (ლენინის სახელობის სარეწაოს დირექტორი), გასანოვი (სტალინის სარეწაოს ბუროვის მეორე ჯგუფის გამგე), კარპენკო (კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს ბუროვის პირველი ჯგუფის გამგე), ბაბაევი (სტალინის სახელობის სარეწაოს ბუროვის მეოთხე ჯგუფის გამგე), ინჟინერი კუზმინცკი, აირაპეტოვი (სტალინის სახელობის სარეწაოს ექსპლოატაციის მეოთხე ჯგუფის გამგე). კამათში აგრეთვე გამოვიდა ნავთის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე ეფუნი, რომელმაც აღნიშნა, რომ აზნავთს მოეპოვება ყველაფერი რაც კი საჭიროა გეგმის შესასრულებლად.

ამხ. ეფუნიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ნავთის არცერთ რაიონში პარტიული ორგანიზაციები არ უწევენ ნავთის მეურნეობებს ასეთ სერიოზულ დახმარებას და კონკრეტულ ხელმძღვანელობას, როგორსაც ახორციელებს პარტიის ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტი და აზერბეიჯანის კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი.

თათბირის დასასრულს გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **ლ. ბერია,** რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდენ.

მოკლე, მკვეთრ სიტყვაში ამხ. ბერიამ სასტიკად გააკრიტიკა ძირითადი დეფექტები აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მუშაობაში.

აზნავთს და სარეწაოებს მოეპოვებათ ყოველგვარი პირობები გეგმის შესასრულებლად. საბადოები მდიდარია ნავთით, მთელი საჭირო მოწყობილობა არის.

აზნავთს მოეპოვება საკმაოდ მომზადებული ტექნიკური კადრები. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ ცუდ მუშაობაში.

მთელი რიგი მაგალითების მოყვანით ამხ. ბერიამ აღნიშნა, რომ არ სჩანს მობილიზებულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა გეგმის შესრულებისათვის, რასაც მოწმობენ ცალკეული გამოსვლები თათბირზე, განსაკუთრებით იმ სარეწაოთა დირექტორების გამოსვლები, რომლებსაც გარღვევა აქვთ.

ამხ. ბერია აღნიშნავს, რომ აზნავთის სარეწაოების და ჯგუფების ხელმძღვანელი მუშაკები ჯერ კიდევ სუსტად იცნობენ ადამიანებს წარმოებაში, სათანადოდ არ აწარმოებენ მათ შესწავლას, ზოგჯერ არ იჩენენ საჭირო მზრუნველობას მათზე, არ შესწევთ მათი სწორად გამოყენების უნარი. სარეწაოს დირექტორი უნდა იცნობდეს არა მარტო ბურღვის ოსტატებს, არამედ მბურღავებსაც, მუშათა ძირითად კადრებსაც, მან უნდა იცოდეს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ, თუ ვის რა შეიძლება მიეხდოს, მოაწყოს მათი სწავლება, სისტემატიური ინსტრუქტაჟი მუშაობაში.

შეჩერდა რა შრომის დისციპლინის საკითხებზე, ამხ. ბერიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა ერთმმართველობის დარღვევის წინააღმდეგ, რომ საჭიროა აუცილებლად სრულდებოდეს აზნავთის და სარეწაოთა დირექციების განკარგულება, რომლებსაც უფლება აქვთ და ვალდებულიც არიან აწარმოონ მოწყობილობის და ადამიანთა ძალების განაწილების მანევრირება.

შეეხო რა ხელფასის, როგორც შრომის ნაყოფიერების ორგანიზაციისა და გადიდების მძლავრი საშუალების მნიშვნელობას, ამხ. ბერიამ აღნიშნა, რომ სარეწაოების დირექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

**ამხ. ბერიამ** მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, თუ როგორ ზერელედ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პარტიისა და მთავრობის მიერ 22 მილიონი ტონა ნავთის ამოღების შესახებ მოცემულ პროგრამის შესრულებას და გააფრთხილა ერთგვარი დამშვიდებისა და უდარდელობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ზოგიერთ ნაწილში.

**ამხ. ლ. ბერიამ** მოუწოდა აზნავთის და სარეწაოების ხელმძღვანელ მეთაურთა შემადგენლობას ისე მოაწყონ თავისი მუშაობა, ისე გაანაწილონ ადამიანები, მოახდინონ მთელი რესურსების მობილიზაცია და გააძლიერონ მასების ინიციატივა, რომ უახლოეს დროში აღმოფხვრან გარღვევა ნავთის გეგმის შესრულების საქმეში, რათა გაამართლონ ნდობა პარტიის დიდი ბელადის, ყველასათვის საყვარელი სტალინისა, რომელიც უდიდეს დახმარებას უწევს ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკებს.

ამხ. ბერიას უკანასკნელ სიტყვებს თათბირის მონაწილეები მქუხარე ტაშით შეხვდენ. (ადს).

# კომკავშირი და სკოლა

## „პრავდის“ მოწინავე

აქამდის კომკავშირი ნაკლებად ზრუნავდა აღმზრდელობითი მუშაობაზე განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. მთავარი ამოცანა—აღზრდა — კომკავშირმა უკანა რიგში დააყენა. კომკავშირს ცუდად ახსოვს ლენინის სიტყვები, „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლის მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“, ბევრი პარტიული ორგანიზაცია ცუდად ეხმარებოდა კომკავშირს ამ მუშაობაში. ჩვენში საკმაოდ არიან კომუნისტები, რომელნიც უდარდელად ეკიდებიან ახალგაზრდობის აღზრდას. ეს მაშინ, როცა ახალგაზრდობას და კომკავშირს განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავიათ პროლეტარიატის დიქტატურის მთელს სისტემაში. მუშა ახალგაზრდობა მძიმე მრეწველობაში გადამწყვეტი ძალაა—ამბობდა ამხ. **ორჯონიკიძე.** კოლმეურნეობებში ტრაქტორისტებს შორის 90 ათასი კომკავშირელია. მოსწავლე ახალგაზრდობაში 400 ათასამდე კომკავშირელია.

ჩვენი მოზარდი თაობა — შესანიშნავი, გაბედული და დამოუკიდებელია. მაგრამ ხშირად ცალკეული ვაჟები და ქალიშვილები იზრდებიან როგორღაც თავისთავად, არ იცნობენ თავისი მამების და დედების მწარე და გმირულ წარსულს ცარიზმთან ბრძოლაში, საბჭოების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, სამოქალაქო ომში.

ტყუილად კი არ იჩენს ზოგჯერ თავს სტუდენტთა ახალგაზრდობის წრეში პოლიტიკური განწყობილებანი, შიშველი ტექნიციზმის პაწაწა თეორიები: ყველაფერს ჩემი ცოდნა და სპეციალობა სწყვეტს, ხოლო შინაგანი სამყარო, პარტიულობა—ეს რევოლუციური რომანტიკაა, ეს მოხუცებისათვისაა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ჭაბუკი მოხუცად გამოიყურება გამუდმებით ზრუნვისა და შიშისაგან უმუშევრობისა და შიმშილისაგან. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა თავისუფლად სუნთქავს, მას არ აწუხებს უმუშევრობის და სიღატაკის საკითხები. თუ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიყვარულის, ქორწინების ოჯახური ურთიერთობის საკითხები ტრაგიკულად ინასკვებიან სპეციფიკურ სოციალურ ეკონომიურ პირობებში. ჩვენში ასეთი პირობები არ არსებობს.

კომკავშირს და სკოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი ახალგაზრდობის ენერგიის, სიცოცხლის ხალისიანობის გამოყენებაში და მიმართულების მიცემაში. და სადაც სკოლა და კომკავშირი განზე დგანან აღმზრდელობითი მუშაობისაგან, ახალგაზრდობის საჭირბოროტო საკითხებისაგან, იქ იწყებს მოქმედებას კლასობრივად მტრული გავლენა.

ხშირია შემთხვევები, როცა საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციები, რომელნიც ბრწყინვალედ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, არ ზრუნავენ თავისი სოფლის ახალგაზრდობის ცოდნისა და კულტურული დონის ამაღლებაზე. მათთვის სასოფლო სკოლის, მოწაფის და მასწავლებლის ინტერესები მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო საქმეა.

კომკავშირის ორგანიზაცია ქარხანაში ხალისით ეკიდება ტექნიკის, [illegible], საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. მაგრამ საკითხი — როგორ უნდა მოეწყოს სკოლაში მეცადინეობა, ბოლშევიზმის ისტორიის სწავლება, საკლუბო მუშაობა — ეს საკითხები საკმაო გამოხატულებას არ პოულობენ კომკავშირის მუშაობაში.

ახალგაზრდობა ბევრი მშვენიერი და დიადი საქმის ინიციატორია ჩვენს მშენებლობაში. მაგრამ მას ხშირად აკლია ცოდნა და კულტურა. სწორედ ამიტომ ხდება, რომ კომკავშირელი სამართლიანად საპატიო საქმედ სთვლის თავისთვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევას, მაგრამ წერაკითხვის უცოდინარისათვის წერაკითხვის სწავლება, მოწაფისთვის ხულიგნობის დაშლა და მისი გაფრთხილება — ასეთი საქციელი ნაკლებ საპატიოდ, არასაინტერესოდ ითვლება. შედეგად კომკავშირში გაჩნდა აქტივისტ-სამეურნეო მუშაკის ტიპი, რომელსაც არ აინტერესებს აღმზრდელობითი მუშაობა, სკოლის და კულტურის საკითხები.

ახლანდელი მდგომარეობა, როცა კომკავშირული ორგანიზაციები განზე იდგენ სკოლისაგან, შემდეგში ყოვლად შეუწყნარებელია.

ამას ნათლად მოწმობენ ჩრდილოეთ კავკასიის სკოლებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ფაქტები, რომლებიც გვაცნობა ჩვენმა კორესპონდენტმა. პრიკუმსკის რიონში, პრასკოვიისკის სასოფლო საბჭოში სკოლებში მოკალათებულია კლასობრივი მტერი. მასწავლებელთა წრეში შეძვრენ აშკარა ავანტიურისტები, კონტრრევოლუციონერები. სოფელ ჩერნოლესკში სკოლას განაგებს თეთრ გვარდიელი ოფიცერი. ხულიგნობას მეთაურობენ კონტრრევოლუციონერი მასწავლებლები, ხოლო კომკავშირული ორგანიზაცია არ იბრძვის ამ გარეწართა წინააღმდეგ.

კომკავშირმა, და ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამაც, უნდა შეიგნონ, რომ ახალგაზრდობის აღზრდა არის კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი პრობლემა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომკავშირმა უშუალოდ უნდა მოკიდოს ხელი აღმზრდელობითი მუშაობას დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სკოლებში. საჭიროა ბოლო მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა პიონერების აღზრდა გადაბარებული ჰქონდათ პიონერ ხელმძღვანელებს, რომლებიც ამასთან ხშირად თვითონაც არ იყვნენ საკმაოდ მომზადებულნი. საჭიროა მოისპოს სკოლის კომკავშირულ ორგანიზატორთა შემთხვევითი შერჩევის პრაქტიკა. თუ რამდენად საზიანოა ის, ნათლად ჩანს 7 მარტის „პრავდაში“ მოყვანილი მასალებიდან მოწაფე მალეკის ცხოვრების შესახებ.

საჭიროა უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე კულტურული ინტელიგენტი ქალები, რომელნიც შესძლებენ უფრო მზრუნველობით, უფრო ახლოს მიუდგნენ საკითხებს, რაც აღელვებს მოწაფე ქალს, სტუდენტ ქალს, ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს.

კომკავშირელთა ფენა საშუალო სკოლაში მეტად უმნიშვნელოა — სულ 170 ათასამდე მოწაფე ქალი და ვაჟი. მით უფრო პასუხსაგები ხდება კომკავშირის როლი სკოლაში არანორმალურ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში (ხულიგნობა, თავაშვებულობა, ანგლობა, მასწავლებლის არაგულისხმიერი გაუპატიოსნებული მიდგომა მოწაფეებისადმი). უნდა პირდაპირ ითქვას, კომკავშირს, რომელსაც გაფრთხილებელი სიგნალი უნდა მიეცა, ნამდვილად გამოეპარა ეს ფაქტები. ზოგჯერ კი კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებსაც მოეპოებათ ცნობები ამგვარი ფაქტების შესახებ, ცდილობენ მიჩქმალონ, დაფარონ ისინი იმის ნაცვლად, რომ ეს ფაქტები გადააქციონ მუშობლების, პედაგოგების და პიონერების ფართო განხილვის საგნად. ამას მოწმობენ თუნდაც კიევის სკოლების (მე-6, მე-75, მე-78) მაგალითები, სადაც მოსწავლეთა შორის აღმოჩენილ იქნა ხულიგნური ჯგუფები.

სკოლაში ხულიგნობის შემრაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ სკოლიდან გარიცხული მოწაფეები. განათლების სახალხო კომისარიატმა [illegible] არა თუ კონტროლი გამორიცხულებზე, არამედ მათი უბრალო აღრიცხვაც კი. გადიოდა რა სკოლიდან, გარიცხული მოწაფე ადვილად ექცეოდა ქუჩის, სისხლის სამართლის დამნაშავეთა და ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ. ქუჩიდან გზა მიდიოდა არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოყოფილ კომისიებში, რომლებმაც სრულიადაც ვერ გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლის, მტრული გავლენის ქვეშ მოხვედრილი ახალგაზრდობის გარდაქმნის და ხელახალი აღზრდის ეს უმნიშვნელოვანესი უბანიც კომკავშირის ყოველგვარი გავლენის გარეშე აღმოჩნდა.

უშიშრად ამხილებს რა პროლეტარიატისადმი მტრული გავლენის ხაშიებს სკოლაში, პარტია შეუსვენებლივ მუშაობს იმისთვის, რომ აღზარდოს და მოამზადოს ნამდვილი საბჭოთა მოქალაქენი, რომელთაც წილად ხვდათ უდიდესი ბედნიერება—საბოლოო გამარჯვებამდე მიიტანონ ლენინ-სტალინის დროშა, ახალი სამყაროს, განთავისუფლებული შრომის, კომუნიზმის დროშა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ პარტიის დახმარებით და ახალგაზრდობის მეგობრის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, წითელდროშოვანი ლენინური კომკავშირი წარმატებით გაართმევს თავს თავის ძირითად ამოცანას — მცოდნე, კულტურული ახალგაზრდობის—ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდას.

# კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ახალი ომის საფრთხე

**ვაშინგტონი,** 9 მარტი. სენატში გაიმართა კამათი სამხედრო ასიგნოვების საკითხებზე. ორატორების უმრავლესობა ხაზს უსვამდა მდგომარეობის გამწვავებას შორეულ აღმოსავლეთში და მხარს უჭერდა საომარ მზადებას იაპონიის წინააღმდეგ. სენატორმა კინგმა (დემოკრატი უტახის შტატიდან) განაცხადა: „ჩვენ ახლა საყოველთაო მშვიდობიანობის გზაზე ვიქნებოდით, რომ მიგველო საბჭოთა კავშირის წინადადებები განიარაღების კონფერენციაზე. ჟენევაში ლიტვინოვი ორჯერ გამოვიდა განიარაღების და შეიარაღების შემცირების სასარგებლოდ, მაგრამ მისი წინადადებები უარყოფილ იქნა“.

შეიარაღების გაძლიერების მომხრე ზოგიერთი ორატორი ხაზს უსვამდა მღელვარებას ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის. კოპლენდმა (დემოკრატი ნიუ - იორკის შტატიდან) აღნიშნა, რომ ახალგაზრდობას შორის შემჩნეულია არაჩვეულებრივი მღელვარება 8 მილიონი ბავშვი არ ღებულობს განათლებას; კრიზისმა დახურა სკოლები, 400 ათასი ვაჟი და ქალი დაეხეტება ქუჩებში და ამერიკის შეერთებული შტატების გზებზე და დაეძებს სამუშაოს. ახალგაზრდობა, რომელმაც დაამთავრა სასწავლებლები, მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს თავისი ცოდნა. შედეგად, — განაგრძო კოპლენდმა, — ახალგაზრდობა „იმედგაცრუებულია და მზადაა გახდეს საამბოხო მოძღვრებათა მსხვერპლი“. მეორე სენატორმა — დემოკრატმა სიტყვა შეაწყვეტინა კოპლენდს და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში უმჯობესია ფულის ხარჯვა ახალგაზრდობის განათლებაზე, ვიდრე შეიარაღების გაძლიერებაზე. ამაზე კოპლენდმა უპასუხა, რომ 20 მილ. დოლარი არ კმარა იმისათვის, რომ შეიქმნას საჭირო პირობები განათლების დარგში, ამავე დროს, ის თანხა საკმარისია იმისათვის, რომ 40 პროცენტით გადიდდეს არმია. (ადს).

# ლედი პასფილდი საბჭოთა კავშირის შესახებ

**ლონდონი,** 9 მარტი. ლიბერალური ყოველკვირეული ჟურნალი „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშენი“ აქვეყნებს ლედი პასფილდის (სიდნეი ვების მეუღლე) სტატიას ჟურნალისტ ჩემბერლენის ანტისაბჭოთა წიგნის შესახებ. უარყოფს რა ჩემბერლენის ჭორებს „შიმშილობის შესახებ საბჭოთა კავშირში“, ლედი პასფილდი ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდეს მიღწევებს საბჭოთა კავშირში. იგი აღნიშნავს პურსა და სხვა პროდუქტებზე საბარათო სისტემის გაუქმებას მთელს საბჭოთა კავშირში და უკრაინის და საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილების კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდას, რაც გამოიხატა იმაში, რომ გაძლიერდა მოთხოვნილება რადიომიმღებებზე, გრამაფონებზე, ველოსიპედებზე და თვით პიანინოებზედაც კი. (ადს)

### უცხოეთის პრესის მიმოხილვა

# იმპერიალისტები და მანჯოუგო

„ტაიმსის“ სტატიების სერიიდან შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ეკუთვნის ჟურნალისტს პიტერ ფლემინგს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტატია იმპერიალისტების და მანჯოუგოს ურთიერთობის შესახებ. ავტორს შემცდარად მიაჩნია წარმოდგენა მანჯურიაზე, როგორც ქვეყანაზე, რომელშიაც შეიძლება სიმდიდრის ახალი წყაროს აღმოჩენა.

მანჯურიის ბაზარი, ავტორის აზრით, არაფერს მიმზიდველს არ წარმოადგენს, რადგან სოიაზე მსოფლიო მოთხოვნილების დაცემის გამო, 30-მილიონიანი მოსახლეობის ყიდვითი უნარი საგრძნობლად დაეცა და არც მალე აიწევს.

„თუ იაპონიას, — წერს ფლემინგი, — შეუძლია წარმატებით გაუწიოს კონკურენცია ჩვენს მეფაბრიკეებს ბრიტანეთის იმპერიის შიგნით, მით უფრო ნაკლები იმედი უნდა გვქონდეს, რომ იაპონიას დავამარცხებთ იმ ქვეყანაში, რომელიც ფაქტიურად მას ეკუთვნის. ერთად ერთი პროდუქტი, რომელიც იაპონიას არ შეუძლია შემოიტანოს და არც თვით მანჯურიაში მოიპოვება— ეს არის ნავთი, რომლის მოთხოვნილება საგრძნობლად გაძლიერდა საომარი მზადებისა და გზების მშენებლობის გამო. ამ მხრივ უცხოეთის კომპანიები ბევრ რამეს მოელოდენ. მაგრამ მანჯოუგოს მთავრობამ შემოიღო ნავთის მონოპოლია“.

ფლემინგი აგრეთვე მანჯოუგოსთვის სესხის მიცემის წინააღმდეგია, რადგან მისი აზრით, ეს ოდნავადაც არ გააუმჯობესებს სახელმწიფოთა სავაჭრო პერსპექტივებს მანჯურიაში:

„ბრიტანეთის მრეწველთა ფედერაციის მისიის მოხსენება, — წერს ფლემინგი, — შედგენილია ოპტიმისტურად. მაგრამ მასში ძნელად თუ იპოვი რაიმე უფრო კონკრეტულ საფუძველს ამ ოპტიმიზმისთვის, გარდა იმისა, რომ მისიამ მიიღო „წერილობითი რწმუნება, რომ ბრიტანეთის თანამშრომლობის პრინციპი მანჯურიის განვითარებაში საბოლოოდ მიღებულია“. ვინ დაიჯერებს, რომ სხვა მისიები — ხოლო ამჟამად უკვე გზაშია ერთი ასეთი ამერიკიდან და მეორეც საფრანგეთიდან — არ მიიღებენ ასეთსავე რწმუნებას, ასევე გულითადს და ასევე ბუნდოვანს“ რამდენიმე ბანკეტი, რამდენიმე სიტყვა და შეიძლება რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაც — და ეს იქნება ყველაფერი, რის მიღებაც ნამდვილად შეიძლება. თუ ჩვენ მანჯურიას წარმოვიდგენთ კლონდაიკად. უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უარი უნდა თქვან ასეთ შეხედულებაზე“.

ფლემინგი უნდობლობით უყურებს იაპონიის სავაჭრო საწარმოებს მანჯურიაში. ჩინელები მანჯურიაში, მისი სიტყვით, დიდ უნდობლობას იჩენენ იაპონელ ვაჭრების მიმართ.

ფლემინგი გადაჭრით ილაშქრებს მანჯოუგოს ცნობის წინააღმდეგ:

„ცნობის სასარგებლოდ გარდა აშკარა მატერიალური მოსაზრებებისა, რის წინააღმდეგაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, წამოყენებულია სხვა არგუმენტებიც. მცირერიცხოვან და სუსტ არგუმენტებს შორის ყველაზე უფრო საფუძვლიანად ითვლება ის მოსაზრება, რომ მანჯოუგოს ცნობა გააუმჯობესებს ჩვენს დამოკიდებულებას იაპონიასთან და გააძლიერებს ჩვენს პოზიციებს შორეულ - აღმოსავლეთში. ნამდვილად კი ცნობა არაფერს ასეთს არ მოგვცემს. შორეულ - აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პოზიციების განმტკიცებას ყველაზე ნაკლებ შეუწყობს ხელს ის, რომ საბაბს მივცემთ გერმანიას იფიქროს, თითქოს ჩვენ ვიზიარებთ მის შეუწყნარებელ დამოკიდებულებას სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი. მანჯურიის ცნობით ჩვენ, რასაკვირველია, დავკარგავთ როგორც სახეს, ისე ვაჭრობას ჩინეთში...

საჭიროა მთელი კატეგორიულობით განვაცხადოთ, რომ არსებული მომენტი შეუფერებელია მანჯოუგოსადმი ჩვენი დამოკიდებულების შეცვლისათვის. ამჟამად, იაპონიის გარდა, მანჯოუგო იცნო მხოლოდ სალვადორმა. წარსულის ისტორია არ იძლევა არცერთ ისეთ მაგალითს, რომ ბრიტანეთს თავისთვის აუცილებლად მიეჩნია სალვადორის მაგალითისათვის მიბაძვა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მომავალში საჭირო იქნება ასე მოქმედება“.

(11 მარტის „იზვესტია“)

# შეაგროვეთ ხალხური შემოქმედების ნაწარმოებნი

### ახალგაზრდობას, კომკავშირელებს, პიონერებს, სოფლის მასწავლებლებს, მწერლებს და საბჭოთა პრესის მუშაკებს.

პირველი ცხენოსანი არმიის გმირულმა ლაშქრობებმა, რომლებიც აღსავსეა უმაგალითო საგმირო და ლეგენდარული საქმეებით, უდიდესი წარუშლელი კვალი დასტოვეს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა შეგნებაში. ხალხურმა შემოქმედებამ აღიბეჭდა თავის მეხსიერებაში და მზრუნველობით ინახავს ზღაპრებში, თქმულებებში, ლეგენდებსა და სიმღერებში, რომელნიც ზეპირსიტყვიერად ვრცელდებიან ხალხის მასებში, ბრძოლის მრავალ ეპიზოდს და პირველი ცხენოსანი არმიის გმირთა სახეებს. ამ ნაწარმოებებში, ისევე როგორც ბავშვთა შემოქმედებაში, გამოხატულია მშრომელთა უდიდესი სიყვარული ცხენოსანი არმიისადმი, ხალხის უდიდესი აღტაცება და პატივისცემა, რომლითაც სარგებლობენ პირველი ცხენოსანი არმიის გმირები და ბელადები.

ხალხური შემოქმედების და ბავშვთა შემოქმედების ეს უმდიდრესი მასალა, უმთავრესად ზეპირი, უსახელო და ადგილობრივი, უნდა შევკრიბოთ, ჩავიწეროთ, შევისწავლოთ და შევიტანოთ ჩვენს ისტორიაში და ლიტერატურაში. ზედმეტად მიგვაჩნია მოგაგონოთ ის მნიშვნელობა, რომელსაც ვ. ი. ლენინი აძლევდა ხალხურ შემოქმედებას. ა. მ. გორკიმ, რომელიც ემყარებოდა ვლადიმერ ილიჩის მიერ გამოთქმულ აზრებს, ახალი ძლიერებით დააყენა მწერალთა ყრილობაზე საკითხი ხალხური ეპოსის ნაწარმოებთა შეგროვების შესახებ. ამ ნაწარმოებთა შორის, უდაოდ, ყველაზე დიდი და საპატიო ადგილი უკავია თქმულებებს, ლეგენდებს და სიმღერებს წითელი არმიის, კერძოდ, პირველი ცხენოსანი არმიის შესახებ. ამ ცოტა ხნის წინათ „კომსომოლსკაია პრავდამ“ მცირეოდენი მასშტაბით ჩაატარა ხალხურ ნაწარმოებთა შეგროვება ბუდიონის შესახებ. ინტერესი, რომელიც გამოიწვია ასეთი მასალის რამდენიმე ნიმუშის გამოქვეყნებამ ჩვენს ფურცლებზე, მოწმობს, თუ რამდენად მომწიფდა ამ დიდი, მნიშვნელოვანი საქმის განგრძობის საჭიროება.

ჩვენ მივმართავთ ყველა კომკავშირელს, მთელს ახალგაზრდობას და ჩვენი პრესის და ლიტერატურის მუშაკებს მოწოდებით მოაწყონ შეგროვება და ჩაწერა ზეპირ ხალხურ ნაწარმოებებისა პირველ ცხენოსანი არმიისა და მისი გმირების, მისი მებრძოლი ბელადების შესახებ, ამხანაგ **სტალინის, ვოროშილოვის** და **ბუდიონის** შესახებ.

თვითეულ რაიონში განსაკუთრებით იქ, სადაც გაუვლია პირველ ცხენოსან არმიას, მღერიან სიმღერებს, გვიამბობენ მოთხრობებს და ლეგენდებს წითელ ცხენოსანთა შესახებ. თვითეულ კომკავშირელს, წერაკითხვის მცოდნე თვითეულ ახალგაზრდა მუშას და კოლმეურნეს შეუძლია ზუსტად ჩაიწეროს ის, რაც მას გაუგონია, ის, რასაც იგი გაიგონებს სხვებისგან, და გადმოგვიგზავნოს ჩვენ. დემობილიზებულ წითელარმიელებს შეუძლიათ გახდენ ხალხური მასალების ჩაწერის ინიციატორები თავის სოფელში, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებს განსაკუთრებით სალიტერატურო ფაკულტეტების სტუდენტებს შეუძლიათ მოაწყონ საფოლკლორო მასალის შეგროვება არდადეგების დროს.

კლუბებმა სოფლის სამკითხველოებმა და სალიტერატურო წრეებმა უნდა შემოიკრიბონ თავის გარშემო ამ საქმით დაინტერესებულ მოხალისეთა აქტივი. მოწაფეებმა და პიონერებმა ასეთივე დახმარება უნდა გაუწიონ იმ მასალის შეგროვებას, რომელიც გვიჩვენებს, როგორ აღიბეჭდა პირველი ცხენოსანი არმია ბავშვის შეგნებაში (ლექსებში, მოთხრობებში, ნახატებში და ბავშვების ლაპარაკში).

თვითეული მონაწილის მიერ დროის და შრომის მცირეოდენი დახარჯვით შეიძლება შეიქმნას უდიდესი შრომა, ხალხური პოეზიის უდიდესი ნაწარმოები ჩვენი გმირული წითელი ცხენოსანი არმიის შესახებ.

მთელი შეგროვილი და ზუსტად ჩაწერილი მასალა, აგრეთვე ნახატები აუცილებლად მისამართის (ქალაქი, სოფელი, რაიონი) დაწვრილებითი აღნიშვნით, ამასთან იმის მითითებით, თუ სად დაიწერა ესა თუ ის ნაწარმოები, ვისთან და ვინ ჩასწერა, გამოგზავნეთ (შეიძლება უმარკოდ) გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მისამართით (მოსკოვი, მალი ჩერკასკი შესახვევი, სახლი № 1).

„კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქცია.

# დიდი, საჭირო საქმე

„კომსომოლსკაია პრავდის“ წამოწყება - წინადადება მოეწყოს შეგროვება ხალხურ და ბავშვთა ნაწარმოებებისა, სიმღერების, ზღაპრების და ლეგენდებისა ჩვენი წითელი არმიის და პირველ რიგში წითელი ცხენოსანი არმიის შესახებ, პირველი ცხენოსანი არმიის ბელადების და ამხ. **სტალინის, ვოროშილოვის** და **ბუდიონის** შესახებ - დიდი, საჭირო საქმეა. მას მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოთა კავშირის ყველა კომკავშირულმა ორგანიზაციამ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაწერის სიზუსტეს, რათა ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებებს არ შეერიოს „მოცლილი ლიტერატორების მიერ შეთხზული ამბები. ეს სრულიადაც არ უარყოფს შეგროვილი მასალის შემდგომ ლიტერატურულ დამუშავებას მცოდნე, მომზადებული ხალხის მიერ, მაგრამ შეგროვებულ უნდა იქნას კი ნამდვილი ხალხური ეპოსი. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სოფლის მასწავლებლებს. ისინი თავთავად უნდა ჩაებან ხალხურ ნაწარმოებთა შეგროვებაში. საჭიროა უზრუნველვყოთ აგრეთვე ხალხური ეპოსის შეგროვება საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებას შორის, ყველა ისინი იბრძოდენ თავის სოციალისტურ სამშობლოსათვის, საბჭოების ხელისუფლებისათვის.

საკ. ა. ლ. კ. კ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანი—

**ა. ვ. კოსარევი.**

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

## 1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

„1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების“ თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 23-ისა და ა.-კ. სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 7-ის დადგენილებების („იზვესტია“ 1935 წ. თებერვლის 24-ისა, № 49, „ზარია ვოსტოკა“ 1935 წლ. მარტის 9-ისა, № 57) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1935 წლისათვის ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრისა და თხის მქისე მატყლის (გაზაფხულო და საშემოდგომო მატყლზე განუყოფლად) სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების ქვემომდევნო ნორმები — საშუალო ნორმები აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის და მტკიცე ნორმები— საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისათვის, დადგენილი სახელმწიფოებრივი ფასების კვალობაზე (გრამობით თვითეულ სულ საქონელზე):

| რაიონები | ცხვრის მატყლი | თხის მატყლი |
|---|---|---|
| 1. ტფილისის | 1350 | 250 |
| 2. დუშეთის | 1250 | — |
| 3. ყაზბეგის | 1300 | — |
| 4. თიანეთის | 1200 | 250 |
| 5. თელავის | 1300 | 250 |
| 6. გურჯაანის | 1350 | 250 |
| 7. ყვარლის | 1250 | 250 |
| 8. ლაგოდეხის | 1150 | 250 |
| 9. სიღნაღის | 1350 | 250 |
| 10. საგარეჯოს | 1350 | 250 |
| 11. აღბულაღ-მანგლის | 1150 | 250 |
| 12. წალკის | 1200 | 250 |
| 13. ყარაიას | 1400 | 250 |
| 14. ბორჩალოს | 1400 | 250 |
| 15. ლუქსემბურგის | 1200 | 250 |
| 16. ბაშკიჩეთის | 1350 | 250 |
| 17. კასპის | 1150 | 250 |
| 18. გორის | 1150 | 250 |
| 19. სტალინისის | 1150 | 250 |
| 20. ბორჯომის | 1150 | 250 |
| 21. ახალციხის | 650 | 250 |
| 22. ადიგენის | 600 | 250 |
| 23. ასპინძის | 600 | 250 |
| 24. ახალქალაქის | 1000 | 250 |
| 25. ბოგდანოვკის | 1000 | 250 |
| 26. წალენჯიხის | 750 | — |
| 27. აფხაზეთის ასსრ | 850 | — |
| 28. აჭარისტანის ასსრ. | 650 | — |
| 29. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 1200 | 250 |

2. დაწესებულ იქნეს 1935 წლისათვის მთელ საქართველოს სსრ-ში ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ წმინდა ოცდათერთმეტ პროცენტ გამოსავლიანი მატყლის ჩაბარების ნორმა (თვითეულ სულ საქონელზე) 3.800 გრამის რაოდენობით.

3 დაწესებულ იქნეს 1935 წლისათვის ყველა საკოლმეურნეო კომლების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების ნორმები 10 პროცენტით ნაკლები ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათათვის დაწესებულ ნორმებზე (იხ. დადგენილების 1-ლი მუხლი)

4 მიეცეს იმ კოლმეურნეობათა წევრებს, რომელთაც აქვთ მესაქონლეობის სასაქონლო ფერმები. 1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებაში შეღავათი კოლმეურნეთათვის დაწესებული ნორმების მონაკლების სახით ფერმის მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მატყლის 20 პროც.-ის რაოდენობით, ამ მონაკლების ჩათვლით კოლმეურნეთა პირადი ვალდებულებების შესრულებაში.

5. დაწესებულ იქნეს მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისათვის და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ფარასათვის სახელმწიფოსათვის ცხვრის მქისე მატყლის (გაზაფხულისა და შემოდგომისა ერთად), ბატკნისა და თხის მატყლის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების შემდეგი ნორმები (გრამობით თვითეულ სულ საქონელზე):

| რაიონები | ცხვარი | [illegible] | თხის |
|---|---|---|---|
| 1. ტფილისის | 1600 | 50 | 400 |
| 2. დუშეთის | 1650 | 50 | — |
| 3. ყაზბეგის | 1650 | 50 | — |
| 4. თიანეთის | 1450 | 50 | 400 |
| 5. საგარეჯოს | 1600 | 50 | 400 |
| 6. გურჯაანის | 1600 | 50 | 400 |
| 7. თელავის | 1550 | 50 | 400 |
| 8. ყვარლის | 1500 | 50 | 400 |
| 9. სიღნაღის | 1600 | 50 | 400 |
| 10. აღბულაღ-მანგლისის | 1550 | 50 | 400 |
| 11 წალკის | 1550 | 50 | 400 |
| 12. ყარაიას | 1700 | 50 | 400 |
| 13. ბორჩალოს | 1700 | 50 | 400 |
| 14. ლუქსემბურგის | 1600 | 50 | 400 |
| 15. ბაშკიჩეთის | 1700 | 50 | 400 |
| 16. კასპის | 1350 | 50 | 400 |
| 17. გორის | 1350 | 50 | 400 |
| 18. სტალინისის | 1350 | 50 | 400 |
| 19. ბორჯომის | 1400 | 50 | 400 |
| 20. ახალციხის | 750 | 50 | 400 |
| 21. ასპინძის | 650 | 50 | 400 |
| 22. ახალქალაქის | 1250 | 50 | 400 |
| 23. ბოგდანოვკის | 1300 | 50 | 400 |
| 24. წალენჯიხის | 1000 | 50 | — |
| 25. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 1400 | 50 | 400 |

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საშუალო ნორმების საფუძველზე განსაზღვრონ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების სხვადასხვაგვარი (დიფერენცირებული) ნორმები ცალკეული რაიონებისათვის, ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საშუალო ნორმები და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების შესრულება. ეს ნორმები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1935 წლის მარტის 15-ისა.

7. დაწესებულ იქნეს 1935 წლისათვის მთელ საქართველოს სსრ-ში მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისა და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლისათვის შემდეგი ნორმები (გრამობით თვითეულ სულ საქონელზე): წმინდა მატყლის — 4.200 გრ., ნახევრად-მქისე გაზაფხულისა და შემოდგომის მატყლის — 1.600 გრ. და ნახევრად - მქისე ბატკნის მატყლის—50 გრ.

8. განთავისუფლებულ იქნეს კოლმეურნეობანი მეტიზაციისათვის შემოყვანილი წმინდამატყლოვანი მამალი ცხვრის მატყლის ჩაბარებისაგან.

9. გაზაფხულის და შემოდგომის ცხვრის მატყლისა და თხის მატყლის ჩაბარების რაოდენობა როგორც საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლისათვის, ისე საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობათათვის განისაზღვრება ამ მეურნეობებში 1935 წლის იანვრის 1-ისათვის არსებული 6 თვეზე მეტი ხნის ცხვრებისა და 1934 წლის თხებისა და ციკნების რაოდენობის მიხედვით.

ბატკნის მატყლის ჩაბარების რაოდენობა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ფარასათვის განისაზღვრება:

მქისე მატყლის რაოდენობა — 1935 წლის იანვრის 1-ისათვის არსებული დასაბეგრი მქისემატყლოვანი ცხვრების რაოდენობით, მერინოსით დაგრილებული დედაცხვრების გამოკლებით.

ნახევრადმქისე მატყლის რაოდენობა — მერინოსებით დაგრილებული დედაცხვრების რაოდენობით.

ვალდებულებანი ყველა სახის მატყლის ჩაბარების შესახებ მიცემულ უნდა იქნეს ერთსადაიმავე დროს.

10. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს ჩააბარონ თვითეულ კოლმეურნეობას, რომელსაც ჰყავს ცხვრისა და თხის განსაზოგადოებული ფარა, როგორც ფერმად გაფორმებული, ისე გაუფორმებელი. თვითეულ საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას ცხვრისა, ბატკნისა და თხის მატყლის ჩაბარების ვალდებულებანი: ფერმებსა და კოლმეურნეობებს არა უგვიანეს 1935 წ. მარტის 25-ისა და სხვა მეურნეობებს — არა უგვიანეს 1935 წ. აპრილის 1-ისა.

11. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში — ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით აწარმოონ როგორც ვალდებულებათა ჩაბარების, ისე ყველა საკოლმეურნეო კომლისა და ერთპიროვნული მეურნეობის მიერ ამ ვალდებულებათა შესრულების ზუსტი აღრიცხვა.

12. იმ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელნიც არ შეასრულებენ კანონის მიერ დაწესებულ ვადაზე სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებას, გადახდებათ ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, ამასთანავე ჩასაბარებელი მატყლი მათ ჩამოერთმევათ უდავო წესით.

13. საქონლის ნამდვილი რაოდენობის დაფარვისათვის კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეები, კოლმეურნეობათა მესაქონლეობის სასაქონლო ფერმების გამგეები, კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხლის მიხედვით.

14. კატეგორიულად აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამზადებელ ორგანოებს კოლმეურნეობებისათვის, საკოლმეურნეო კომლებისათვის და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებების დაკისრება [illegible] ნორმებით, რაც აღემატება ამა დადგენილების და მის გასავითარებლად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მიერ გამოცემული დადგენილებებით დაწესებულ მატყლის ჩაბარების სარაიონო ნორმებს, ამასთანავე უზრუნველყონ იმ პირებისათვის, რომელნიც თავის დროზე შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებებს, მათი ზედმეტი პროდუქციის სურვილისამებრ განკარგულების სრული შესაძლებლობა.

გაფრთხილებულ იქნეს ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია, რომ ის პირები, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან შეხვედრი გეგმების მიცემაში, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

15. დაევალოს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, აცნობოს რაიონებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დაწესებული კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულების შესრულების საკალენდრო ვადები.

16 მატყლის მიღება, ამა დადგენილების წესით; დაევალოს „სოიუზზაგოტშერსტის“ საქართველოს კანტორას და ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სამომხმარებლო კოოპერაციას.

17. კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევა ამა დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის დაეკისროს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**გ. მგალობლიშვილი.**
**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: ა. ჭავთარაძე.**
1935 წ. მარტის 11.
ტფილისი.

# ვოდოპიანოვი და ლინდელი გაფრინდენ ამურის ნიკოლაევსკში

**ხაბაროვსკი,** 11 მარტი. (საკ. დეპ. სააგენტოს ელვა). დღეს, 3 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით, ხაბაროვსკიდან გაფრინდენ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვოდოპიანოვი და წითელდროშოვანი პილოტი ამხ. ლინდელი, რომელნიც მოსკოვიდან მიფრინავენ შმიდტის კონცხზე. პირველი დაშვება მოხდება ამურის ნიკოლაევსკში.

*

გაფრენის წინ საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ვოდოპიანოვმა განაცხადა:

— მივფრინავ რა შორეულ ჩრდილოეთში, მე მოვუწოდებ შორეული აღმოსავლეთის მხარის კოლმეურნეებს იბრძოლონ იმისათვის, რომ საუკეთესოდ მომზადდენ თესვისათვის.

—ამხანაგებო შორეულ აღმოსავლეთელებო! იბრძოლეთ თესვის მომზადებისათვის, ხე-ტყისა და თევზისთვის, თქვენი დიდი, ლამაზი მხარის ყველა სიმდიდრის ათვისებისათვის. ნუ დაივიწყებთ თავდაცვითი მუშაობასაც. როგორც მუშა, ისე კოლმეურნე ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს სამხედრო ტექნიკას. მხურვალე სალამი ხაბაროვსკის და შორეული აღმოსავლეთის მხარის მუშებს, კოლმეურნეებს, ყველა მშრომელს, მადლობა გულთბილი მიღებისათვის. (ადს).

**საპარაშუტო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა— მფრინავმა კაიტანოვმა 4 მარტს 17 ს. და 04 წუთზე დაამყარა სიმაღლიდან გადმოხტომის ახალი რეკორდი საჟანგბადო ხელსაწყოს გამოუყენებლად. წინასწარი გამოანგარიშებით გადმოხტომა მოხდა 6.800 მეტრის სიმაღლიდან.**

**თვითმფრინავს მართავდა ცნობილი მფრინავი — ნაწილის კომანდირი ამხ. სუხანოვი, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობს პარაშუტისტებთან.**

ლეო ქიაჩელი

# ორსანტია

მზიანი დღე მიწურული იყო, როცა ორსანტიაში ჩაველი. ორსანტია ზუგდიდის რაიონის ერთერთი თვალსაჩინო თემია. ციოდა, მაგრამ ეს უფრო მოახლოვებული ღამისა და ნესტისაგან იყო, თორემ აქ ზამთარი თბილი იცის, როგორც საერთოდ დაბლობ სამეგრელოში.

ზუგდიდიდან ორსანტიამდე 18 კილომეტრია შავი ზღვის მიმართულებით, ორსანტიიდან ზღვამდე კი — თორმეტი. აქ ზღვა ყნოსვითა და ჰაერის ფარფატით იგრძნობა. კოლხიდის საოცარი ჰავა და ბუნება შავი ზღვის იშვიათი ძღვენია: მისი, თბილი სუნთქვის წყალობა ზამთარში და გრილი ფრთიანი სიოს მადლი ზაფხულში. არც ორსანტიას აკლებს შავი ზღვა თავის მადლსა და წყალობას, თუმცა მათ 12 კილომეტრის მანძილი აშორებს ერთმანეთს.

სამი თუ ოთხი წლის წინად ორსანტია უბრალო სოფელი იყო, მივარდნილი იყო, ტყესა და ჭაობში მიჩქმალული. დაუდეგარი ინგურის ტოტებს შორის მოქცეული ორსანტია ხშირად მიუვალი ხდებოდა და მეზობელ სოფლებისა და თემებს მოწყვეტილი რჩებოდა. ის კოკის დიდ თემში შედიოდა, როგორც განაპირა ნაწილი და მაინც და მაინც არც ავად იხსენიებოდა და არც კარგად მდიდარი და სახელგანთქმული მეზობლები — ძველი თემები დარჩელი, კახათი, და კოკი, ეს მეგრული სიმინდის ბოღაზები, ჩრდილავდენ ორსანტიას.

დღეს კი ორსანტია თემია, თავისი ღირსებით და მნიშვნელობით დასახელებულ ძველ თემებთან მხარგასწორებული, მიუხედავად იმისა, რომ მის „თემობას“ სულ რაღაც 3 თუ 4 წლის ისტორია აქვს.

ორსანტია თემად გადაიქცა და მერე სახელიც გაუთქვა მთელ ზუგდიდის რაიონში კარგად ცნობილმა გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც მოკლედ ორსანტიის კოლმეურნეობას უწოდებენ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ საქმის გამკეთებელია ამ კოლმეურნეობის დამაარსებელი და დღევანდელი ხელმძღვანელი ვინმე ორსანტელი მეურმე, შემდეგ კიდევ ვინმე უმიწაწყლო გლეხი — გურია საჯაია, რომელიც ამჟამად „ვინმე“-ზე ნურას უკაცრავად გახლავთ: დღეს ეს ყოფილი ვინმე მეურმე საქართველოს ცაკის წევრი ბრძანდება, ახლახან დამთავრებული საბჭოების მე-7 ყრილობის მიერ არჩეული ზუგდიდის რაიონის წარდგენით, როგორც საუკეთესო კოლმეურნე. მეურმე — ცაკის წევრი. ასეთია ორი სამკაული გურია საჯაიას ბიოგრაფიისა. ამას გურია საჯაია უთუოდ ახალ ადამიანთა რიგში შეჰყავს. ასეთ ადამიანად იცნობენ მას სწორედ რაიონში.

ორსანტიის ცენტრი, სადაც ჩემი ეტლი დადგა, მაინცდამაინც ბევრით არაფრით განსხვავდება გარეგნულად მეგრული სოფლის ჩვეულებრივი შუაგულიდან. ყურადღებას იქცევს დიდეზოიანი ფიცრული სახლი, ძველებური ფართო აივნიანი განიერი ოდა. ეს არის ორსანტიის ახლად დადგმული საზოგადო სახლი. იგი ოდესღაც ამ მხარეს გადმოსახლებულ მურზაყან დადიშქელიანის მემკვიდრეების საკუთრებას შეადგენდა. ზედ ეტყობა კიდევაც, რადგანაც ჩვეულებრივ აქაურ ოდებს არ ჰგავს.

ამ სახლის გაყოლებაზე ქუჩის ორსავე მხარეს ჩამწკრივებულია რამდენიმე ხისა და ქვის დაბალი შენობა, რომლებშიაც ამჟამად საქვაჭრობისა და კოოპერაციის წერტები და კოლმეურნეობის სასადილოა მოთავსებული.

კოლმეურნეობის სახლის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, შენდება აგურის ორსართულიანი სახლი, ორსანტიის შვიდწლედისათვის დანიშნული; ცოტა მოშორებით დგას ახლახან დამთავრებული და ამუშავებული პატარა სახერხი ქარხანა, — ყოველი ცოტათ თუ ბევრად შეძლებული კოლმეურნეობის აუცილებელი სამრეწველო სახის წამოწყება საქართველოში.

ამავე ცენტრშია მოქცეული ორსანტიის კოლმეურნეობის ინკუბატორი და მოშორებით კი რუს პირად გაშენებული ჯიშიანი იხვის ფერმა, ალბათ, მეტად იშვიათი მოვლენა, რადგანაც სხვა კოლმეურნეობებში იხვის ფერმა მე არსად მინახავს.

★

ჩემს ჩასვლისას საქვაჭრობისა და კოოპერაციის წერტების წინ კარგა ბლომად იყო ხალხი მოქუჩებული. უფრო მეტწილად ქალებს მოეყარათ თავი.

გუშინ ორსანტიის კოლმეურნეობის მოლარეს ზუგდიდიდან ოთხასი ათასი მანეთი ჩამოეტანა და მხოლოდ დღეს ნაშუადღევს გაეთავებინა დარიგება. კოლმეურნე არ დარჩენილა ისეთი, რომ ორი-სამი ათასი და ზოგს კიდევ მეტიც არ რგებოდა გასული 1934 წლის შრომადღის ანგარიშში, საქვაჭრობისა და კოოპერაციის წერტები გუშინვე ისე დაეცალიერებიათ, რომ შიგ არაფერი დარჩენილიყო.

უსაქონლოდ დარჩენილი ქალების ერთი პარტია უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ზოგს არ ჯეროდა, რომ წერტები უკვე დაეცალიერებიათ და ნოქრისაგან გასაღებს მოითხოვდენ, — იქნება სადმე თაროზე შემთხვევით ერთი ჯემპერი მაინც დარჩა გაუსაღებელიო.

ჰმ... ჯემპერი და ისიც გაუსაღებელი ორსანტიაში. განა ასეთი საქონელი თუნდაც შემთხვევით და ერთიც გადაურჩებოდა თულიანი გლეხის ქალების ხარბ თვალებს. რა წარმოსადგენია. მეგრელ ქალებს უკანასკნელ მოდაზე უყვართ ჩაცმა-დახურვა, ქალაქიდან ცხრა მთას იქითაც, რომ ცხოვრობდნენ და ჯემპერი დღეს ხომ დიდ მოდაშია.

★

ჩემთან ერთად ორსანტიაში ჩამოვიდა ყირიმის, რომელიღაც ტრესტის წარმომადგენელი, ორსანტიის კოლმეურნეობასთან შარშან დადებული ხელშეკრულების გასანაღდებლად. მასთან გასაუბრებამ დამარწმუნა, რომ ის ორსანტიის ხშირი სტუმარი ყოფილა და აღნიშნული ხელშეკრულების გარდა კიდევ სხვაც ჰქონებია. ყირიმი ლენინგრადთან ერთად ორსანტიის არახისის მომხმარებელიც ყოფილა, რომელიც თხილზე ორჯერ მეტად ფასობს.

ჩემი ჩასვლის მიზანიც ერთგვარ უცნაურებას წარმოადგენდა. იგი ყირიმის და ლენინგრადის ამბავს ემატებოდა, როგორც წინად გაუგონარი და წარმოუდგენელი რამ მოვლენა. ორსანტიის კოლმეურნეობის კომერციულ კავშირგაბმულობას „ორსანტია — ლენინგრადი“ ჩემის სახით დაემატა სულ სხვა ხასიათისა და შინაარსის კავშირი: „ორსანტია — ლიტერატურა“. „ორსანტია — კინემატოგრაფია“. საინტერესოა ეს ამბავი.

საქართველოს სახკინმრეწვის დავალებით შარშან მე და რეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ საკოლმეურნეო რაიონებში ვიმოგზაურეთ. ვეცნობოდით სხვადასხვა კუთხის კოლმეურნეობებს და მასალებს ვაგროვებდით სცენარის დასაწერად. კახეთის შემდეგ ვესტუმრეთ სამეგრელოს. აქ ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად მიიპყრო ორსანტიის კოლმეურნეობამ. არ ვიცი ამ კოლმეურნეობის და მისი თავმჯდომარის გურია საჯაიას საქმიანობის, ფხიანობის წყალობით მოხდა, თუ ორსანტიის პარტორგის ამხ. იოსებ გაბუნიას მიერ გაზიარებული თავისი დიდი გამოცდილებისა და ცხოვრების ცოდნის წყალობა იყო, რომ მომავალი ჩვენი სასცენარო ნაწარმოების ზოგიერთი მხარე ორსანტიის კოლმეურნეობამ მოხაზა. შეიძლება ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ისიც, რომ მე და ჩემი რეჟისორი მეგრულ სოფელს წინადაც ვიცნობდით და ეს გარემოება თანამედროვე ცხოვრების რთულ მოვლენებში გარკვევას უფრო გვიადვილებდა.

რა თქმა უნდა, ეს არ უარყოფდა კახეთის შესანიშნავი მასალებით სარგებლობის ან იმ აღტაცების შენელებას ჩვენში, რომელიც მოგვანიჭა სიღნაღის რაიკომის მდივნის ამხ არტემ წითლიძის მუდამ პათოსამდე აყვანილმა ცეცხლშეკიდებულმა მუშაობამ. პირიქით სხვადასხვა კუთხის მასალების და დამახასიათებელი მოვლენების შედუღება იყო საჭირო, სწორი და ზოგადი მხატვრული სახეებისა და სინტეზების მისაღებად.

და მე ახლა ხელმეორედ ჩაველ ორსანტიაში უკვე დაწერილი ნაწარმოებით, რათა ადგილზე შემემოწმებინა მისი ზოგიერთი ნაწილის სოციალური სისწორე და მხატვრული გამართულობა.

პარტორგმა ამხ. იოსებ გაბუნიამ შარშანდელს აქეთ იცოდა სცენარის ამბავი. დიდად იყო დაინტერესებული. წარსულ ზაფხულს ბევრი საინტერესო კოლმეურნე და კერძო ორსანტიელი გლეხი გაგვაცნო გაბუნიამ, — დამკვრელები, ბრიგადირები, გვესაუბრა მათთან. ახლა მე ვაპირებდი სამაგიეროს გადახდას: ჩვენ მიერ შექმნილი გმირები — კოლმეურნენი, ბრიგადირები, კომკავშირლები და სხ. მინდოდა მისთვის გამეცნო. ჩემი მიზანი იყო გამეგო, რამდენად მართალია ჩვენი სცენარის ამბავი და მისი დადებითი, თუ უარყოფითი გმირები რამდენად შეესაბამებოდენ დღევანდელ კოლმეურნეობრივ სინამდვილეს. ეს იყო შემოწმება მხოლოდ იმისა, რაც ლიტერატურულად იყო ჯერჯერობით მოხაზული და რაც ახლო მომავალში ნიკოლოზ შენგელაიას კინო რეჟისორული ჯადოქრული ხელით საბოლოო საეკრანო გამოქანდაკებას მოელოდა...

★

საუბარმა გაგვიტაცა. გვიან იყო, როცა მოულოდნელმა შემთხვევამ სიტყვა გაგვაწყვეტინა. გარედან ეტლის ხმაურობა მოგვესმა და უმალვე ი. გაბუნიას ოთახის კარი ორმა კაცმა შემოაღო. ესენი იყვნენ გურია საჯაია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ქ. ზუგდიდის აღმასკომის კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელი ამხ. არეთა ხუხუნი, ზუგდიდში კარგად ცნობილი კომუნისტი, — ორივე ჩემთვის მეტად საინტერესო ადამიანი. არ დამნანებია თითქმის მოთავებული საუბრის შეწყვეტა ამხ. გაბუნიასთან.

ზუგდიდის კომუნალური განყოფილების გამგის ჩამოსვლამ ორსანტიაში ღამით, ასე გვიან და ასე ფიცხლად ძალაუნებურად მიიქცია ჩემი ყურადღება, რა მოხდა მეთქი ასეთი. გამოირკვა შემდეგი მეტად საინტერესო და საგულისხმიერო ამბავი:—ზუგდიდის კომუნალურ განყოფილებას დღეს დილით ფული დასჭირებოდა სასწრაფოდ, 30 თუ 35 ათასი მანეთი. მთელი დღე ვერ იშოვნეს. ორსანტიიდან ზუგდიდში ჩასული გურია საჯაია უნახავთ შემთხვევით სალამო ჟამს. მიუმართავთ თხოვნით, ხომ არ გვიშველიო, ალბათ იცოდენ, რომ ორსანტიის კოლმეურნეობას ყოველთვის აქვს ფული ბანკის მიმდინარე ანგარიშზე. საჯაია დაპირებია, — მხოლოდ ბანკის ჩეკი კოლმეურნეობაში ინახება წამოდით და გამოგატანთო. თვითონ ამხ. ხუხუნი ჩამოყოლია.

იოსებ გაბუნიასას დაიბარეს ბუხჰალტერი. იქვე ჩემს თვალწინ მოაგვარეს ეს საქმე. შუაღამე იქნებოდა. როცა ამხ. ხუხუნმა გამზადებული ჩეკი ფაქიზად შუაში გაკეცა და გულისჯიბეში შეინახა.

ამ შემთხვევითმა ამბავმა მე მეტად საყურადღებო ფაქტის წინაშე დამაყენა: მდიდარი და დიდი რაიონის ცენტრი, ფაბრიკა - ქარხნებით გარსშემორტყმული, ცნობილი ძველი ქალაქი ზუგდიდი ფულს ესესხებოდა ჯერ კიდევ გუშინ სრულიად უცნობი სოფლის კოლმეურნეობას. პირიქით რომ ყოფილიყო, მე ეს ფაქტი არ დამაინტერესებდა, ბუნებრივად ჩავთვლიდი. სოფელი ყოველთვის ქალაქში მიდიოდა ფულის სასესხებლად. ჩემი გაკვირვება კიდევაც გავუზიარე იქ მყოფთ.

— ალბათ, ამის მიზეზი ის არის, რომ ორსანტიის კოლმეურნეობა რამდენიმე მომგებიანი წარმოების პატრონია. მის სასოფლო სამეურნეო პროდუქციას საკავშირო ცენტრებშიაც ყიდულობენ და ფულიც უთუოდ აქედან შემოდის. ეს პატარა ამბავი საერთოდ კოლმეურნეობის მეტად საყურადღებო ზრდას მოწმობს მეთქი...

★

გურია საჯაიამ ამაზე კმაყოფილებით ჩაიცინა. უნაკლო, თლილი ქვებივით ჩარაზმული თეთრი კბილები შემოგვანათა. მერე თავისთვის კიდევაც ჩაიხითხითა. ჯმუხი ტანი გამართა და სქელი ბეჭები კამალა, საფეთქლამდე შავად გაწკეპლილი ცალი წარბი აიზნიქა და იქ მყოფთ ასე გადახედა: „ხომ ხედავთ, ამ კაცმა საიდან დაგვინახაო“. სახეზე თავისებური სიხარული და ხალისი გამოიხატა — ისეთი, რომელსაც დამკვრელს სოც - შეჯიბრებაში გამარჯვება ანიჭებს ხოლმე. მე უდიდეს მოვლენად მიმაჩნია ასეთი სიხარული ადამიანის ცხოვრებაში. იგი უთუოდ სოციალურ მოვლენათა კატეგორიის უნდა მიეკუთვნოს. მასში გამოიხატება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შრომის უმაღლესი, მორალური ჯილდო. ამიტომ არის უთუოდ, რომ ამ ჯილდოს მისაღებად ბევრი რამ საკვირველი, ბევრი რამ გმირული ხდება ჩვენს სინამდვილეში.

ქ. ზუგდიდის და მისი წარმომადგენელი ხუხუნისათვის მაინცდამაინც რა დიდი ამბავი იქნებოდა ორსანტიის კოლმეურნეობის როლში ყოფნა ამ შემთხვევაში. ამხ. ხუხუნი ვერ განიცდიდა იმას, რაც იგრძნო გურია საჯაიამ, რომელიც ანაკლიის გზაზე ღამეებს „ბზო ჩილის“ გულამოსკვნილი კვნესით ათენებდა ჯერ კიდევ გუშინ და ზუგდიდის სრა-პალატიან სასახლეებს შიშით შორს გვერდს უვლიდა... ასეთი მეურმისათვის ასეთი გურია საჯაიასათვის კი დაწინაურების გრძნობა დიდი და ისტორიული ამბავია. და გურია საჯაიას ჩუმ გახარებაში ამის შეგრძნობა, რომ მინიშნა, ჩემმა შინაგანმა თვალმა უდიდესი სოციალური ძვრის ერთი მთავარი და უტყუარი ნიშანი დალანდა, ახალ ცხოვრების მიჯნაზე დროშასავით აღმართული...

გურია საჯაიას დაწინაურებული გარეგნობაც აქვს. მას აცვია სამხედრო ყაიდაზე შეკერილი გრძელი ახალი „შინელი“; მკერდზე მიკრული აქვს საქართველოს ცაკის მინანქრიანი ნიშანი, ქუდზე კიდევ — ვარსკვლავი. ის ახლახან დაბრუნდა ტფილისიდან ამ იშვიათი ნიშნით და ახალი „შინელით“. მაგრამ ამას გარდა კიდევ ერთი ნიშანიც ჩამოჰყვა, რომლის გარეგნული გამოხატულება მის თვალებს და სახის გამომეტყველებაშია მიმალული. ეს არის ღირსების შეგნება ცაკის წევრობის ნიშნის, ახალი „შინელის“ და ვარსკვლავიანი ქუდის ტარების სრული დამსახურებისა, რაც ამ დაბალი ტანის კაცს მაღლად აჩენს...

★

ორსანტიის კოლმეურნეობა ჯერ კიდევ შარშან ზუგდიდს ყოფნის დროს მიქო რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გვასალიამ მართლაც შესანიშნავ შედეგებისათვის მიუღწევია ამ კოლმეურნეობას. მასში თავს იყრის

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

# ხვნა-თესვის ზუსტი საწარმოო დავალება თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადას

## უხეიროდ გეგმავენ საკოლმეურნეო წარმოებას

(დუშეთი, ჩვენი სპეც. კორ-ის კორესპონდენტისაგან)

როცა ჩვენ დუშეთის რაიმიწგანში მოვითხოვეთ მასალები კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შედგენის მიმდინარეობის შესახებ, რაიმიწგანის გამგემ ამხ. ძებისაშვილმა გვიპასუხა.

— რაღა დროს გეგმების შედგენის მიმდინარეობაა, ეს საქმე ჩვენ მთელს რაიონში კარგა ხანია მოვათავეთო.

ეს სწორია. 1935 წლის საწარმოო გეგმები მართლაც შედგენილია დუშეთის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში; გეგმები არის აგრეთვე ცალკე ბრიგადების მიხედვითაც. ყველაფერი ეს არის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმები შედგენილია კაზიონურად, კოლმეურნეთა მასების მონაწილეობის მიუღებლად და არასწორად.

სოფ. მჭადიჯვარის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ხ. ხაბაშვილი) სახნავად 11 მარტს გავიდა. 8 მარტს კი ამ კოლმეურნეობის არცერთ ბრიგადას არ ჰქონდა მიღებული წლიური საწარმოო გეგმა. მესამე ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. იოსებ მუზლაურმა 8 მარტს ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ სავაზაფხულო კულტურებს რამდენი და სად უნდა დათესოს.

სოფ. ახალშენის კოლმეურნეობის ყველა ბრიგადას თვითეული ჰექტარიდან მოსავლის მიღების დავალება მიცემული აქვს თანაბრად, ცალკე ბრიგადების ნაკვეთების თავისებურობის გაუთვალისწინებლად, სარწყავი და ურწყავი მიწების მხედველობაში მიუღებლად. მჭადიჯვრის კოლმეურნეობაში კი ბრიგადებს ჰექტარზე მოსავლის მიღების დავალება სრულიად არ აქვთ მიცემული. ზემოხსენებულ კოლმეურნეობებში მუშახელი და საწარმოო საშუალებებიც თანაბრად, არის განაწილებული.

მჭადიჯვრისა და ახალშენის კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმების დამუშავება - შედგენა ჩატარდა კოლმეურნეების მონაწილეობის მიუღებლად. ამ კოლმეურნეობათა გეგმები რაიმიწგანის მიერ უკვე დამტკიცებულია. და, ამავე დროს, ეს გეგმები ჯერ არ განუხილავთ ზემოხსენებულ კოლმეურნეობათა არც გამგეობებს და არც საერთო კრებას.

ახალშენის კოლმეურნეობაში ჩვენ აღმოვაჩინეთ საერთო კრების ფიქტიური ოქმები. მაგ., ამ კოლმეურნეობის გამგეობის მოანგარიშემ წულიაშვილმა მიმდინარე წლის 5 მარტს შეადგინა „ოქმი", რომელშიც ნათქვამია: „5 მარტს, სოფ. ახალშენის კოლმეურნეობის საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო უმრავლესობა (!), განიხილა სავაზაფხულო თესვის საკითხი და სხვ. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ 5 მარტს ახალშენში კოლმეურნეობის არავითარი კრება არ ყოფილა მოწვეული.

დუშეთის რაიმიწგანის გამგე ამხ. ძებისაშვილი და რაიონის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები სოფ. მჭადიჯვარში მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე სულ ცოტა 20-ჯერ მაინც ყოფილან, მაგრამ მათ კოლმეურნეობათა გეგმების შედგენაში არავითარი უსწორობა არ შეუმჩნევიათ.

ბათომის რაიონის კოლმეურნეობა „აჭარის". დამკვრელი კოლმეურნე ქალი ელპი საანიდი, რომელიც სანიმუშოდ უვლის ძროხას.

რაიმიწგანი კოლმეურნეობების საწარმოო გეგმების განხილვა - დამტკიცებას არა სერიოზულად ეკიდება. იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც რაიმიწგანის გამგემ ძებისაშვილმა ერთ დღეს 30-კოლმეურნეობის გეგმა „დაამტკიცა".

სოფ. ქისიანთუბნის კოლმეურნეობის გამგეობამ ქერის მოსავალი ერთ ჰექტარზე საწარმოო გეგმის თანახმად 15 ცენტნერით განსაზღვრა. ქისიანთუბნელი კოლმეურნეები ამტკიცებენ, რომ გასული წლის გამოცდილების თანახმად, მათ თავისუფლად შეუძლიათ ჰექტარზე 15-ცენტნერი ქერის მიღება. დუშეთის რაიმიწგანში ამის საწინააღმდეგოდ არაფერს ამტკიცებენ მაგრამ მათ ქისიანთუბნის კოლმეურნეობის გეგმაში შეაქვთ „შესწორება" რომლის თანახმად ქერის სავარაუდო მოსავალს იქ სამი ცენტნერით ამცირებენ.

აპ. ჭოჭუა.

## ერთპიროვნულ მეურნეობებში თესლი გაუწმენდავი და შეუმოწმებელია

ჩხოროწყუ, 10 მარტი. (საკ. კორ.) სოფ. ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობები პირველ მარტიდან მასობრივად შეუდგნენ ხვნას. უკვე მოხნული აქვთ 66 ჰექტარი. მთლიანად რაიონში 5 მარტისათვის მოხნული იყო 108 ჰექტარი.

ზოგან კი ცუდად ემზადებიან თესვისათვის. მაგ., სოფ. ქოლას კოლმეურნეობაში მუშა - პირუტყვი მოუვლელია, ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებში ჭიანურდება საწარმოო გეგმების შედგენა (მუხური, ახუთი).

რაიონის სასოფლო საბჭოების უმრავლესობაში ერთპიროვნულ მეურნეობებს ჯერ კიდევ არა აქვთ დამზადებული სიმინდისა და ხოიას სათესლე მასალა. იმ ერთპიროვნულ მეურნეობებში კი, რომელთაც აქვთ სათესლე მასალა, 7 მარტისათვის თესლი გაუწმენდავი და შეუმოწმებელი იყო.

კოლმეურნეობათა სათესლე მასალის აღმოცენების უნარიანობის შემოწმებაც არ არის დამთავრებული.

შ. ზარანდია.

## ახალი წესდების დამუშავების შემდეგ

წალენჯიხაში ჩამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი ამხ. გრ. მუშიშვილი, რომელმაც რაიონის პარტაქტივის, სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების რაიონულ თათბირზე დაამუშავა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგები და არტელის ახალი წესდება.

პარტრაიკომმა მობილიზაცია უყო რაიონის 30 პასუხისმგებელ მუშაკს, რომლებიც პირველ მარტიდან შეუდგნენ კოლმეურნეობებში და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა კრებებზე წესდების ფართო გაცნობასა და დამუშავებას.

ამის შედეგად სოფ. ჯმუხის ამხ. სტალინის სახელობის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობის წევრებმა სურვილი განაცხადეს არტელის წესდებაზე გადასვლის შესახებ. ამ ახლად დაარსებულ არტელში განცხადებები შეიტანეს ერთპიროვნულმა გლეხებმა ა. კვარაცხელიამ, მ. გურიელმა, ლ. ჩიქოვანმა, ვ. ფიფიამ, ტ. ფიფიამ და ლ. ძვაბავამ.

სას.-სამ. არტელის წესდებაზე გადასვლის შესახებ სურვილი გამოთქვეს აგრეთვე იმავე სოფ. ჯმუხის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „შეერთების" წევრებმა. ამისათვის უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა.

სოფ. ფახულანის კოლმეურნეობას შემატა 11 ახალი წევრი.

ვლ. ზარქუა.

## რითი უპასუხებენ კოლმეურნეები ახალ წესდებას

(ტფილისის რაიონი)

9 მარტი, საღამოა. მუხრანის სასოფლო საბჭოს შენობაში თავი მოუყრიათ საკოლმეურნეო აქტივს და პარტიულ მუშაკებს. 12 კოლმეურნეობის დამკვრელები აგერ ახლა დაბრუნდნენ მივლინებიდან. დღეს უნდა მოისმინონ სტალინური წესდების დამუშავების შედეგები.

ტფილისის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ლომიძემ გახსნა თათბირი, რომელსაც ესწრება საქცაკის მდივანი ამხ. თენგიზ ჟღენტი და აგრეთვე ამხ. სერგო მეგრელიშვილი.

თათბირმა მოისმინა მუხრანის სასოფლო - საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ძევაშვილის მოხსენება ახალი წესდების განხილვა დამუშავების შედეგებზე.

ილაპარაკეს აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა.

აქ საფუძვლიანად არის დამუშავებული კოლმეურნეობის ახალი სტალინური წესდება. წაიკითხეს ის კოლმეურნეთა ოჯახებში, მუხლობრივად განიხილეს ბრიგადირთა კრებებზე, დასასრულ განიხილეს კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

კოლმეურნეები ყველგან დიდი ინტერესით ისმენდენ ახალი წესდების თვითეულ მუხლს.

ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მშრომელ ერთპიროვნულ გლეხების ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ. სოფ. დამპალოში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა. კოლმეურნეობა „ახალ გზას" 10 ახალი წევრი შეემატა.

წესდების განხილვა - დამუშავებას კოლმეურნეები უპასუხებენ საწარმოო აქტივობის გაძლიერებით. მაგალითად, კოლმეურნეობა „კოლექტივიზაციამ" კოლმეურნეობამ ქერი ვადაზე ადრე დათესა; საბოსტნე ნიადაგი მოამზადა 48 ჰექტარის რაოდენობით.

26 კომუნარის სახ. კოლმეურნეობამ ქერი დათესა 9 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა. საბოსტნე ნიადაგი მოამზადა ხარისხის მტკიცედ დაცვით.

თათბირზე ახალი წესდების გარშემო გაიმართა გაცხოველებული მსჯელობა. კოლმეურნეები ლაპარაკობდნენ საკარმიდამო ნაკვეთების, მიწათმოწყობის, ბრიგადების ორგანიზაციის, მეცხოველეობის განვითარების და სხვ. პრაქტიკულ საკითხებზე.

დასასრულ, ამხ. თ. ჟღენტმა თავის სიტყვაში ამომწურავი პასუხი გასცა კოლმეურნეებს წამოჭრილ საკითხების შესახებ.

ბ. შარაშიძე.

## მზადება ჩაის ფოთლის კრეფისთვის

ბათომი, 10 მარტი. მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობა, რომლის ინიციატივით ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებს შორის ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება მზად არის ჩაის ნედლი ფოთლის მოკრეფისათვის.

კოლმეურნეებმა უკვე დაამთავრეს მოსავლის აღების ინვენტარის (კალათები, მაკრატლები, სასწორები და სხვ.) აღრიცხვა. დამატებით შეძენილია 35 პატარა და 5 დიდი კალათი, 10 მაკრატელი, 4 სასწორი მთელი ძველი ინვენტარი და ტარა მოყვანილია წესრიგში.

ყველა ბრიგადაში დამუშავებულია ჩაის ფოთლის მოკრეფის საკონტროლო ციფრები და გამომუშავების ნორმები.

წელს კოლმეურნეობას განზრახული აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს ჩაის ფოთლის მოკრეფაში ქალების და მოზარდთა შრომა, რისთვისაც კოლმეურნეობა ქმნის ყველა საჭირო პირობებს, აწყობს საბავშვო ბაგებს და საზოგადოებრივ კვებას.

სოხუმის რაიონის სოფ. გულრიფშში ამხ. ათარბეგოვის სახ. კოლმეურნეობის წევრი ამხ. ავ. ოქსუზიანი, რომელმაც შარშან გამოიმუშავა 870 შრომა დღე. სურათზე: რამისათვის სათბურების მომზადება.

## კულაკურ-ტროცკისტული ცილისწამება სცენიდან

ფარდა იხურება. თითქოს მოვალეობის მოსახდელად დარბაზში კანტი - კუნტად გაისმის ობოლი ტაშის ხმა და ისიც მალე წყდება. მაყურებელი გულგრილად სტოვებს თეატრს.

ასეთია სპექტაკლის ფინალი რუსთაველის თეატრში ყოველთვის, როცა იქ „შლეგი" (ავტორი ხ. მთვარაძე, რეჟისორი აკ. ვასაძე) იდგმება, იმ თეატრში, რომლის დარბაზს მთელი რიგი საუკეთესო დადგმების გამო ახსოვს მქუხარე ოვაციები და სიყვარულით და სიხარულით სავსე მოწონება.

ჩვენ ამ მომენტზე მოვაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმიტომ, რომ რიგითი საბჭოთა მაყურებლის შეფასება ძვირფასია თეატრისათვის და გადმოსცემს ნამდვილი საბჭოთა ადამიანების უშუალო განწყობილებას, ამ შემთხვევაში „შლეგისადმი" გარკვეულად და კატეგორიულად უარყოფით დამოკიდებულებას.

რა არის თეატრის ამ მარცხის მიზეზი? პიესა თუ დადგმა? ვფიქრობთ — ორივე ერთად.

ბუნებით „შლეგი", დემონიურობამდე ჯიუტი ადამიანი ფირანა, რომელსაც მწყემსები სოფლად ირჩევენ, საკოლმეურნეო ფერმასა და საკუთარ ბედზე გაბოროტებული სოფლის ჯოგს გარეკავს საზღვრისაკენ, რომ დასტოვოს საბჭოების ქვეყანა, მაგრამ შვილის — ზაზას ღალატის გამო მიზანს ვერ აღწევს. უკანვე ბრუნდება და შემდეგ განმარტოვებული კვდება. ასეთია პიესის ჩონჩხი.

ვნახოთ როგორი ხორცი შეუსხამს ავტორს და თეატრს ამ ჩონჩხისათვის.

სარქალ ფირანას, რომელიც ავტორს და თეატრს კულაკად წარმოუდგენია, სინამდვილეში კულაკის, კაპიტალისტური კლასის ამ ყველაზე უფრო გაბოროტებული წარმომადგენლის და მშრომელთა ექსპლოატატორის, არავითარი თვისება არ გააჩნია. იგი დანარჩენ მწყემსებზე ნაკლები შეძლებისაც არის, რადგან მათზე ნაკლები საქონელი ჰყავს. იგი ყველასთან მამაშვილურ დამოკიდებულებაშია და ყველაფერს თითქო „ძმებო და შვილებო" ლოზუნგით ხალხის და სოფლის საკეთილდღეოდ აკეთებს.

მწყემსებიც და სოფლის მთელი მოსახლეობა პიესაში წარმოდგენილია ერთფეროვან მასად, სადაც თითქოს არავითარ კლასობრივ განსხვავებას და ბრძოლას არა აქვს ადგილი. მოჩვენებითი წინააღმდეგობა, რომელიც ერთი მხრით სოფელსა და მეორე მხრით სარქალ — მწყემსებს შორის არსებობს, არის არა კლასობრივი წინააღმდეგობა, არამედ უბრალო გაუგებრობა, ჯოგის მოულოდნელი გარეკვით გამოწვეული და აი, სოფლის ეს ჩვეულებრივი მცხოვრებნი (და არა კულაკები), არავინ იცის რატომ, რა მიზეზით, გარბიან საზღვარგარეთ. ამ გაქცევის მიზეზი თითქოს საკოლმეურნეო ფერმაა. მაგრამ როდის, სად ნახა პიესის ავტორმა, რომ კოლმეურნეობის შიშით სოფლიდან გარბოდენ ინდივიდუალური მშრომელი გლეხები? სად, როდის იყო ასეთი მტრული დამოკიდებულება კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა — ამ ხვალინდელ კოლმეურნეთა შორის? სინამდვილეში ის ასე არ ხდება. თეატრი და ავტორი კი სწორედ ასე ხატავენ საქმის და აშკარად აყალბებენ სინამდვილეს.

საკითხავია: რით განსხვავდება ყველაფერი ეს იმ ფაშისტურ-ტროცკისტულ პროვოკაციისაგან, რომლის მიხედვით, საბჭოთა კავშირიდან კოლექტივიზაციის შიშით თითქო გარბოდეს მშრომელი გლეხობა?

გასაკვირია კოლმეურნეობისა და დანარჩენ მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა დამოკიდებულების ასეთნაირი გადმოცემა იმიტომაც, რომ საკოლმეურნეო წყობილების წარმომადგენლები პიესაში თითქმის სავსებით არ ჩანან და მხოლოდ აქა-იქ თუ გაიელვებენ ისე, როგორც თვით ფერმის სახელი.

ამის შემდეგ გასაგებია, რომ ობიექტიურად სცენაზე ლაპარაკობს არა კლასობრივი მტერი, არა კულაკი და მისი აგენტი (თუმცა ავტორს და თეატრს სურს საქმე ასე წარმოიდგინოს), არამედ სოფლის მშრომელი მასა (მწყემსების სახით), რომელიც წამებულის და დევნილის შარავანდედით არის მოსილი.

მაგრამ ერთი წუთით დავეთანხმოთ თეატრს და დავუშვათ, რომ ფირანას სახით ჩვენ საქმე გვაქვს კლასობრივ მტერთან, გაზვიადებულ და გაბოროტებულ კულაკთან, რომელიც ნებაყოფლობით გარბის ბრძოლის ველიდან. სწორია თუ არა კლასობრივი მტრის ასეთნაირი ჩვენება? არა, არ არის სწორი. არ არის, რადგან საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კლასობრივი მტერი უბრძოლველად, თავისი სურვილით არასოდეს არ ნებდება, იგი ბრძოლის ველიდან არ გარბის, არამედ ამ ბრძოლაში ნადგურდება.

თეატრში კი სულ სხვაგვარ სურათს ვხედავთ. ფირანა საქვეყნოდ აცხადებს: ნებით არ წავალ, ძალით კი ჩემი გაციებული ლეში დარჩება აქო; და ამ განცხადებიდან რამოდენიმე წუთის შემდეგ, იგი განკარგულებას აძლევს მწყემსებს — საქონელი შეაგროვეთ, აქედან გავიქცეთო. ხოლო ავტორს დაავიწყდა პიესის გმირის ზემოთ მოყვანილი სიტყვები, რომელიც გაქცევამდე რამოდენიმე წუთით ადრეა ნათქვამი? ან თუ აქ თეატრი არ ხედავს წინააღმდეგობას, თავი რომ დავანებოთ კლასობრივ ბრძოლაში მტრის ტაქტიკის ყალბ გადმოცემას? (მტრის ნებაყოფლობით გაქცევა). მაშ მტერი რა მტერია, თუ იგი თავისი ნებით გარბის? არა, ასე არ ხდებოდა და არ ხდება სინამდვილეში. არა ასეთ „ბრძოლაში" გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ.

როგორც ვხედავთ, ავტორიც და თეატრიც ორივე მიმართულებით დაცარცხდენ: თუ ფირანა და მწყემსები მშრომელი გლეხებია (და ობიექტურად ეს ასეა), მაშინ გაუმართლებელია და ცილისწამებაა მათი გამოყვანა წამებულებად, რომლებიც კოლექტივიზაციის გამო გარბიან საბჭოთა კავშირიდან. ხოლო თუ ისინი კლასობრივი მტრებია, კულაკებია (და ობიექტურად ეს ასე არ არის), მაშინ ჩვენ ვეკითხებით თეატრს და დრამატურგს: როდის იყო, რომ მტრები ნებაყოფლობით ნებდებოდნენ და გარბოდნენ, როდის იყო, რომ ისინი თავისთავად ილუპებოდნენ, პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის მათ წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გარეშე?

აი სად ილუპება და ტყდება პიესის პოლიტიკური ღერძი, აი სად არის „ჩავარდნის" მიზეზი, აი რატომ არ არის დამაჯერებელი და რატომ არის ტენდენციური და ყალბი „შლეგი".

გავყვეთ ქვევით. პიესაში ვითარდება ერთგვარი წინააღმდეგობა სარქალსა და დანარჩენ მწყემსებს შორის. ეს არ არის კლასობრივი წინააღმდეგობა. უკმაყოფილება იქმნება არა იმიტომ, რომ სარქალი კლასობრივი მტერია, ექსპლოატატორია (და ობიექტურად ის არც არის ექსპლოატატორი), არამედ იმიტომ, რომ, როგორც მწყემსები ამბობენ, ფირანა დაბერდა და სარქალად აღარ გამოდგება. ამ უკანასკნელ მოტივის მოშველიება კიდევ ერთ საშუალებაა იმისათვის, რომ ავტორმა კულაკის უფლიური, არადამაჯერებელი ნიღაბით წარმოგვიდგინოს ერთპიროვნული მშრომელი გლეხი და მასთან დაკავშირებული მწყემსები, რომლებსაც თითქო აწამებენ, სტანჯავენ და აიძულებენ (ვინ, რატომ?—აქ არა ჩანს) გაიქცნენ საბჭოთა კავშირიდან.

ჩვენის აზრით სწორედ ამაშია „შლეგის" მთელი კონტრრევოლუციურ - ფაშისტური „მარილი".

რომ უფრო უკეთ მიაღწიოს მიზანს, ავტორი ლუნავს სიუჟეტურ ღერძს: ბრძოლის, შეჯახების და წინააღმდეგობის ცენტრი სოციალურ ძალათა სფეროდან გადააქვს მამაშვილურ ურთიერთობის სფეროში. „კულაკის" შვილი ზაზა, საკოლმეურნეო ფერმის მოსისხლე მტერი. საზღვარგარეთ გაქცევის ერთერთი ორგანიზატორი, მოულოდნელად, თითქო ქალის — სიყვარულის გამო, აზრს იცვლის და გაქცევას ჩაშლის, შემდეგ კი საკოლმეურნეო წყობილების აგიტატორადაც გამოდის, საკითხავია: სად მომხდარა ეს? სად და როდის შეეზარდენ სოციალიზმს კულაკის შვილები, როდის იქცნენ ისინი საკოლმეურნეო წყობილების გულწრფელ თავგამოდებულ მომხრეებად? ან როდის მომხდარა, რომ კლასობრივ მტერს თავისი კლასობრივი ინტერესები სიყვარულზე დაეხოცდავებინოს? (თუმცა ზაზას მამის მარჯვენა ხელის — პაპუნას ქალი უყვარს). რა არის ეს? სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ნაჩვენები სინამდვილე და მისი განვითარების ტენდენცია, თუ ამ სინამდვილის გაყალბება? ვფიქრობთ მეორე და არა პირველი.

მხატვრული ნაწარმოების ღირსება სიმართლის ჩვენებაში, სინამდვილის განვითარების ტენდენციის გახსნაში მდგომარეობს. საჭიროა არა ცალკე ემპირიული ფაქტების მოცემა, არამედ მოვლენათა განვითარების საერთო კანონზომიერების ჩვენება და ფაქტების განზოგადოება. „შლეგში" კი სწორედ ამას ვერ ვხედავთ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან, პროლეტარიატის პოზიციებიდან.

სამაგიეროდ მოვლენები ბევგარი პრიზმით არის დანახული და მოცემული, კლასობრივი მტრის პრიზმით, კონტრ - რევოლუციური ტროცკიზმის პრიზმით და ამდენად სასტიკად დამახინჯებული და გაყალბებულია.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ ვერავითარ დამაჯერებლობას ვერ ქმნიან მსახიობები თავიანთი მოხდენილი თამაშითაც კი. დამაჯერებლობას ვერ ვხედავთ ვერც ზაზას პოზიციის შეცვლაში და ვერც სარქალ ფირანას ტრაგიზმში. ეს ტრაგიზმი კი არა, რაღაც ფარსია, რომლისაც ფირანას მარჯვენა ხელის, სანიოს სატირული პაროდიის — პაპუნას მწვავე იუმორიც კი არ აკლია.

თუ ავტორის და რეჟისორის იმ თვალსაზრისიდან გამოვალთ, რომ ფირანას სახით საქმე გვაქვს კლასობრივ მტერთან, კულაკთან. მაშინ მთელ პიესაში გაყალბებულია კლასობრივი ბრძოლის სინამდვილე, საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლის სინამდვილე; მაშინ პიესა ცდილობს კლასობრივი მტერი წარმოადგინოს, როგორც საერთოდ ხალხისა და მოსახლეობისათვის თავგამოდებული, მისი დამცველი ძალა, შემოსოს იგი შარავანდედით შეაბრალოს იგი, [illegible] მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ კი ვფიქრობთ. და ობიექტიურად პიესა ამას ჰქვნის, რომ ავტორმა კლასობრივი მტრის [illegible] ნიღაბი აიფარა მშრომელ გლეხთა მასას, რომელიც თითქო იძულებულია დასტოვოს საბჭოთა ქვეყნის საზღვრები, მაგრამ ვერ [illegible] ამას და თავისი [illegible] კლასობრივი შეგნების, არამედ [illegible] მომენტების გამო, [illegible] „ტრაგიკის" წყალობით.

პიესაში, [illegible] სოციალური მასა, მთელი სოფლის მოსახლეობა, მოქმედობს, იბრძვის, იტანჯება და მხიარულობს ისე, რომ არსად საბჭოთა ხელისუფლება და მისი ორგანიზატორული, დამრაზმავი როლი არ ჩანს; პარტიულ ან კომკავშირულ ორგანიზაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

პიესაში არის სხვა არასწორი ხაზებიც. მათგან ერთი უმთავრესია: ულვლად შეუწყნარებლად არის გაშარჟებული და გამასხრებული წითელი არმია. განა ასეთი ტაკიმასხარები იცავენ ჩვენ საზღვრებს. როგორც ის პიესაშია ნაჩვენები? განა ასეთი ხალხისაგან შესდგება ჩვენი სახელოვანი და გმირული არმია? არა და ათასჯერ არა.

ჩვენ არაფერს ვამბობთ დადგმის ცუდ და კარგ მხარეებზე, რადგან ამ შემთხვევაში მთელ საკითხს წყვეტს პიესის იდეური ღერძი.

„შლეგი" არაფერს ახალს არ მატებს რუსთაველის თეატრის შემოქმედებით აქტივს. პირიქით. იდეოლოგიურად ის მავნეა და დრამატურგიულად სუსტი პიესაა. ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ცხადია, უნდა დაიჩქეს თუ არა იგი საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

ვალ. ნბალობლიშვილი.

---

406 კომლიდან 342 ე. ი. 83 პროც. 1934 წ. კოლმეურნეობას ჩაუტარებია 56 ათასი შრომადღე. შრომადღეს უწევს 18 მანეთი ფულად, ნახევარი ფუთი სიმინდი და კიდევ ლობიო, ბრინჯი და სხვა ნატურით ყველა ხარჯის, ფონდების და სახელმწიფო ვალდებულებათა გამოკლებით, რაც მთელი შემოსავლის 40 პროც. შეადგენს. თითეულ წევრზე საშუალოდ მოდის 150-დან 400-დე შრომადღე ან 2.700-დან 7200 მანეთამდე ფულად, 75—200 ფუთამდე სიმინდის მიმატებით.

ორსანტიის კოლმეურნეობის კეთილდღეობის საფუძვლს გარდა სიმინდის ყანებისა, უმთავრესად შეადგენს 160 ჰექტარი თხილი, 52 ჰექტარი არაჩისი და კიდევ სხვა მცირეფართობიანი კულტურები. ამას გარდა ჯიშიანი ღორისა და მესაქონლეობის ფერმა. მიმდინარე წლის სამუშაო გეგმაში შეტანილია მანდარინის ბაღის გაშენებაც.

ორსანტიის კოლმეურნეობის მშენებლობა მხოლოდ ახლა იშლება. ზემოდასახელებულ დადიშქელიანისეული ოდის შეძენა და აგება, სახერხი ქარხნის დამთავრება (ელექტროგანათებისათვის გამოყენებით) და ამუშავება, შვიდწლედისათვის დიდი ორსართულიანი აგურის სახლის დაწყება, ინგურის ერთ ტოტზე ხიდის გამართვა, მუშა და მეწველი საქონლისა, ღორისა და იხვის ფერმებისათვის სათანადო სადგომების აგება, ინკუბატორის გამართვა — არც ისე ცოტა რამაა ორსანტიისათვის. გურია საჯაია და იოსებ გაბუნია სრული უფლება აქვთ იამაყონ 3—4 წლის ნამოქმედარით.

⁂

თავრამ ორსანტიას აქვს უდიდესი „ჩავარდნაც" მშენებლობაში და ეს გარემოება უნდა საჯაროდ ვამხილო. ჩავარდნა შეეხება სადგზაო მშენებლობას. შეიძლება ითქვას რომ ორსანტიის კოლმეურნეობა უგზოა. არის... უგზოდ არის მეთქი ვამბობ. რადგანაც უბრალოდ გაჭრილი გზა ხრეშმოუყრელი და დაუტკეპნელი (ბალონს სამეგრელოში) გზად არ ჩაითვლება. ორსანტიის გზები სათვალავს წარმოადგენენ და ეს გარემოება სრულიად არ შეეფერება ამ შეძლებულ ცხოვრებასთან ახლოს მისულ მთელი რაიონის სანიმუშო კოლმეურნეობას. სარძევე და ღორის მოსაშენებელ ფერმებამდე ზემოდ დასახელებული (ცენტრიდან სულ რაღაც კილომეტრ ნახევარია. ფართო გზა კი არის გაჭრილი, მაგრამ ზედ ისეთი ლაფია გამდგარი, რომ გავლა დიდი გაჭირვებაა. თითონ ფერმების ეზოც ასეთ მდგომარეობაშია. ხოლო აქედან რამდენიმე ათეული ნაბიჯის მანძილზე მდინარე ინგურის მთავარი ტანია გაწოლილი, ხრეშით, ქვითა და სილით სავსე. მაინცდამაინც რა დიდი საქმეა ინგურიდან ხრეშის ამოტანა და ამ კილომეტრიანი გზის მოკირწყვლა. მითუმეტეს, რომ ფერმებს 50 ათას მანეთზე მეტი წმინდა მოგება მოუციათ გასულ წელს.

ესევე ითქმის თითქმის იმ მთავარ გზაზედაც, რომელიც ორსანტიას ზუგდიდ - ანაკლიის გზატკეცილთან აერთებს. ამ გზას სულ ხუთნახევარი კილომეტრის სიგრძე აქვს. ეტყობა ოდესღაც ზერელედ ნაკეთებია, ამჟამად ეტლის მოძრაობისათვისაც გამოუდეგარი (მეგრული ურემი კი სად არ გაივლის), ის გარემოება, რომ ამ გზის შეკეთება წელიწადად კოკის თემს უწევს, საქმეს აფერხებს. ვერ შეთანხმებულან. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გაფუჭებული გზის მიზეზით ორივე კოლმეურნეობა ყოველწლიურად გაცილებით მეტს კარგავს, ზარალობს, ვინემ გზის ერთხელ რიგიანი შეკეთება დაუჯდება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სათემო გზების მდგომარეობა საზოგადოდ საქართველოში ცუდია. ეს ჩვენი უკულტურობის ნიშანია. საქართველოს საკოლმეურნეო მოძრაობის შესანიშნავი რაიონი — ზემო და ქვემო ქედი კახეთში თითქმის უგზოა. შარშან ადრე შემოდგომაზე მთელი ორი საათის განმავლობაში ზემოქედიდან მომავალ სამ მგზავრს ავტომობილი ხელით მოგვყავდა თითქმის წითელ წყარომდე, რადგანაც გზაზე წვიმამ მოგვისწრო და ისეთი სლიპი გახდა, რომ მანქანის ბორბალი სულ ერთსა და იმავე ადგილზე უქმად ატრიალა. სამეგრელოში კიდევ უარესი მდგომარეობაა, ქართლკახეთში ნიადაგი მაინც არის მკვრივი და მაგარი.

და იმ ღამეს, როცა ამხ. გაბუნიას სტუმრები დაიშალნენ სესხის მოგვარების შემდეგ და მეც ჩემს საქმეს მოვრჩი, ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ, — ნეტავი, ჩემი მოწონებული გურია საჯაია არ ყოფილიყო მაინც ამ პატარა სცენის გმირი.

როცა ბოლოს გურიაც გამოგვემშვიდობა, წასვლის მაგიერ კუთხეში მიდგა შინელჩაცმული და იქ მყოფ შინაურებს თხოვა შინელის კალთების აკეცაში მოხმარებოდნენ. ყველამ ხელი გამოიღო. შემოეხვივნენ. ისე აუკეცეს და შეუკეცეს კალთები, რომ ვეება შინელი მოკლე ხალათს დაუმსგავსეს. ეს ჩვენი თავმჯდომარე ცოტა ხანში კარგი მობურთალივით შეკრეს, შეამკვრივეს. ამის შემდეგ ამხ. გაბუნიამ დიდი ჯოხი აიღო ხელში და ოთახიდან გავიდა. ცოტა არ იყოს შემაკვირვა ამ ოპერაციამ. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი თავმჯდომარე ასე იმიტომ მოამზადეს, რომ გზაზე. სანამ შინ მივიდოდა, ტალახში არ ჩაფლულიყო.

მეორე დღეს დილით კოლმეურნეობის ფერმისკენ, რომ მივდიოდი დასათვალიერებლად გულში შევაქე გურია საჯაიას წინდახედულობა. მართლაც, ამ გზაზე გაივლის, ისიც ღამით კარგი მობურთალივით მარჯვე და ტანშიკრული კაცი თუ შეძლებდა.

⁂

ორსანტიის გზების მდგომარეობა ყველაზე უფრო კოლმეურნეობის მეეტლეს ბოკო იონიკას აწუხებს. მისი [illegible] ეტლი საშიში სანახავია. ჩაჯდომის დროს უთუოდ გაიფიქრებთ: ჩემმა სიმძიმემ საბოლოოდ არ დაშალოსო. ბოკო გუნჯუა ყოველდღე მავთულებით ამაგრებს და კრავს თავის ეტლს კოფოდან დაწყებული ბორბლებამდე ცხენები კი კარგი ჰყავს, მოვლილი და ნაპატივები. ბოკო ძველი მეეტლეა. თავისი სიცოცხლე დილიჟანს გაუტარებია ანაკლიის გზაზე. ახლა 70 წლის იქნება. კარგად არის შენახული. უცოლშვილო და უსახლკარო ყოფილა ციოდამ, ასეთი დარჩენილა სიბერეშიაც. ოხუნჯი, სიტყვა მოსწრებული, საკვირველი მოუბარი და მომღერალია. პირველ გაცნობაზე უდარდელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ბოკოს მთელი გზის პირი იცნობს ზუგდიდიდან ანაკლიამდე. დალანდავენ თუ არა მის ეტლს ბავშვები, გამოედევნებიან, — „ბოკოს გაუმარჯოს" მიჰყვირიან", ქალები კი, პირიქით, განზე გაურბიან ბოკოს. ეშინიათ მისი მწარე და ძალზე მოურიდებელი სიტყვებისა.

ბოკოს დარდს მხოლოდ მაშინ შეამჩნევ, როცა ის მღერის. მეგრული სიმღერა საზოგადოდ დარდიანია, მაგრამ ბოკოს ხმას კიდევ თავისი დარდი შეაქვს მასში, რაღაც გულითადი სევდა, უღრმესად ლირიული და ისეთი ჩუმი, ფარული კვნესის გამომცემი, რომ ქვასაც კი ცრემლს გამოადენს.

ბოკო გუნჯუა ნამდვილი საბოჰემო კაცია, უთუოდ არტისტად არის დაბადებული, მაგრამ ძველი ორსანტიის სინამდვილეში მეეტლედ გადაქცეული.

მოუბარი, მთქმელი არის ბოკო იშვიათი. „ყურს ვერ მოაშორებ, როცა ამბავის თხრობას დაიწყებსო", ამბობენ ორსანტელები. მეც ბევრი რამ მიამბო ორსანტიის წარსულიდან. კარგად ახსოვს, როცა ორსანტიაში „რუს ხელმწიფის" მტრის მურზაყან დადიშქელიანის (გაგარინის მკვლელი) მემკვიდრეები ცხოვრობდენ, სვანეთიდან აქ გადმოსახლებულები. ბოკო მაშინ ახალგაზრდა ყოფილა. მაშინდელი დიდკაცობა მის სიტყვას ისე ეტანებოდა თურმე, როგორც ბუზი თაფლს და დადიოდა საკვირველ ამბავთა მცოდნე, სიტყვის და ხუმრობის საოცარი ტალკვესით აღჭურვილი ბოკო, პატარა კაცი, ამ ვეება დადიშქელიანებში, როგორც შინაური კაცი. მას უნახავს მურზაყანის განთქმული ხანჯალი ორსანტიელ დადიშქელიანების სახლში კედელზე ჩამოკიდებული, რომელმაც ქუთაისის გუბერნატორი განგმირა. ამ ხანჯლის განსორი ხელისგულიც კი ვერ დაუფარავდაო, ამბობს ბოკო და ახლაც გულწრფელად არის გაკვირვებული ამიწერა დადიშქელიანების სადილი. რომელსაც თურმე 50 კაცზე მეტი შეექცეოდა, ამათში უთუოდ არა ნაკლებ 40 სვანისა. ეს იყო ნამდვილი მდევების სმა-ჭამა, ისეთი ხორხოშით და ღრიანცელით, რომ ინგურის შხუილსაც კი ფარავდაო.

— უეცრად გაჰქრენ და გადაშენდენ, რომ ხანდახან ეჭვიც მიპყრობს ნამდვილად იყვნენ, თუ სიზმარი იყო მათი ამბავი. თუ არა მე, ახლა ხსენებაც არ იქნებოდა მათ ოხრებს. იმ მდევების ოდა კოლმეურნეობამ გადმოიტანა თავის სახლად და მათი სამყოფელი ადგილი კოლმეურნეობის ჯიშიანი ღორების დასასუქებელი მიწის ვაშლით დაითესა და კიდევ სხვა გაუგონარი და უცნაური თესლით, რომელთაგან ზოგი ამოსულია და ზოგიც კიდევ ამოვაო, ახალი ადამიანები მოვიდენ. ახალი ამბავი დაიწყო. ნეტავი, ახალგაზრდა შევსწრებოდი ამ დროებას. უთუოდ სახელს გავითქვამდი და გურია საჯაიაზე ნაკლები არც მე ვიქნებოდი... რაღა დროის. მოვხუცდი.

ახლა ბოკოს გურია საჯაია უყვარს. უკვირს ამ მეურმე კაცმა ამდენი ამბავი რომ დაატრიალა. გურიასაც უყვარს ბოკო.

როცა ორსანტიიდან მოვდიოდით, ეტლის კოფოზე მოთავსდენ ერთად გურია და ბოკო, სიმღერა შემოძახეს. ბოკოს ყოველ მოსწრებულ სიტყვაზე გურია ჩუმკენ მოიხედავდა თვალების წკურვით, თეთრი კაცის კბილების გამოჩენით და ისეთი გულიანი გადახარხარებით, რომ, ვის არ შეშურდებოდა ეს პრიმიტიული, უშუალო სიცილი, რომელსაც მოჭრილი და მოსწრებული სიტყვა იწვევს ხოლმე ჯანითა და სილით მთელ ბუნებრივ ადამიანში...

ტფილისი, 1935 წ. მარტი.

## თვალთმაქცი რატიანი გარიცხულია პარტიიდან

საქ. კ. პ. (ბ) ხონის რაიონულმა კომიტეტმა 4 მარტის ბიუროს სხდომაზე პარტიის რიგებიდან გარიცხა რაი-ამდასკომის სოფ. [illegible] ყოფის ყოფილი ინსპექტორი გრიგოლ რატიანი.

გრიგოლ რატიანი 1926-27 წლებში იყო აქტიური ტროცკისტი და იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ რატიანი აქტიურად მუშაობდა ტროცკისტულ კონტრ - რევოლუციურ ოპოზიციაში, პარტორგანიზაციების კრებაზე დამალა თავისი კონტრ - რევოლუციური მუშაობა. რატიანი შეეცადა მიეჩქმალა თავისი ტროცკისტობა, მას შემდეგ, რაც რატიანის ფარულ კონტრ-რევოლუციურ მოქმედებას ფარდა ახადეს ყოფ. ტროცკისტებმა, რატიანი იძულებული გახდა ეთქვა, რომ ის 1926-27 წლებში მუშაობდა ტროცკისტულ ოპოზიციაში.

## საერთაშორისო ჭადრაკო ტურნირი

### მეჩვიდმეტე ტურის შედეგები

მეჩვიდმეტე ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა კაპაბლანკა — მენჩიკის პარტია. ძველ ინდიურ დებიუტში კაპაბლანკამ პირდაპირ შეტევით ჩქარა მოიგო პარტია.

რაბინოვიჩმა მოუგო ლევენფიშს. ჩეხოვერმა წააგო ალატორცევთან. ჩქარა დამთავრდა ყაიმით ლილიენტალ — ბოტვინიკის პარტია.

კან რაგოზინის პარტიაში უკანასკნელმა აირჩია კარო — კანის დაცვა. დებიუტით კანმა მიიღო მცირეოდენი უპირატესობა, რომელიც მან თანდათან გააძლიერა და მოწინააღმდეგის ორივე ფრთაზე კომბინირებულ შეტევით მოიგო ხარისხი და მალე პარტიაც.

პირცი — შტოლბერგის და ლასკერ — ლისიცინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბოგატირჩუკ — გოგლიძის პარტიაში პირველმა მიიღო უკეთესი პარტია და ინიციატივა, მაგრამ გოგლიძის ძოთიქრებული თავდაცვის შემდეგ პარტია ყაიმით დამთავრდა.

ფლორ — რიუმინის და შპილმან — რომანოვსკის პარტიები გადაიდო თეთრებისათვის რამოდენიმედ უკეთეს მდგომარეობაში.

★

მეჩვიდმეტე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ბოტვინიკი + 12, ფლორი + 11 ½ (1 გად), ლასკერი + 11, კაპაბლანკა + 10½, ლევენფიში + 10, შპილმანი და კანი + 9 (1 გად.), რაგოზინი, ლილიენტალი და რაბინოვიჩი + 9, რომანოვსკი + 8 ½ (1 გად.), ალატორცევი + 8 ½, გოგლიძე 8, რიუმინი + 7 ½ (1 გად.), შტოლბერგი + 7, პირცი + 6 ½ (1 გად.), ბოგატირჩუკი + 6 ½, ჩეხოვერი + 5, მენჩიკი + 1 ½.

★

დღეს მეთვრამეტე ტურში თამაშობენ:

რომანოვსკი — კაპაბლანკა, ფლორი — ბოტვინიკი, ლევენფიში — შპილმანი, რაგოზინი — ლასკერი, გოგლიძე — ჩეხოვერი, შტოლბერგი — მენჩიკი, რიუმინი — რაბინოვიჩი, ლისიცინი — ბოგატირჩუკი, პირცი — კანი და ალატორცევი — ლილიენტალი.

„თქვენ, ქარხნების დირექტორებო, თვალყური უნდა ადევნოთ იმას, თუ რა კეთდება საბავშვო დაწესებულებებში. ჩვენი მუშების ბავშვებზე ჩვენს გარდა არავინ არ იზრუნებსო“—სთქვა ამხ. ორჯონიკიძემ. თუ ყველა საწარმოში არ არის სახკომისრის ეს მითითება განხორციელებული, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ დროს ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა ბავშვების მომსახურება. სისტემატურად ფართოვდება საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

სურათზე: ბავშვები „წითელი პროლეტარის“ ფაბრიკასთან (მოსკოვი) არსებულ საბავშვო ბაღში აკვარიუმთან.

## ბიბლიოგრაფია

**Н. Я. МАРР, избранные работы, т. III. язык и общество.**

ლენინგრადში გამოვიდა აკად. ნ. მარის რჩეული შრომების მესამე ტომი, „ენა და საზოგადოება“. ამ ტომში თავმოყრილია განსაკუთრებით ის შრომები, სადაც ნ. მარი მკვეთრად აყენებს ენის, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის, უძლიერესი საშუალების და ენის როგორც „პრაქტიკული ცნობიერების“, პრობლემას.

ამას გარდა, მესამე ტომში დაბეჭდილია ის სტატიები და გამოკვლევები, რომელშიაც ნ. მარი იძლევა მეტყველების პალეონტოლოგიის, როგორც ისტორიული დიალექტიკის, დასაბუთებას ენის შემოქმედების ანუ გლოტოგონიური პროცესის ღრმა ანალიზის ჩვენებით.

ამ მხრით დიდ ინტერესს იწვევს ნ. მარის ცნობილი შრომა: „აქტუალური პრობლემები და იაფეტური თეორიის მორიგი ამოცანები“. (გვ. 61—77), რომელიც წაკითხული იყო მოხსენების სახით მოსკოვში კომ. აკადემიის მატერიალისტური ენათმეცნიერების ქვესექციის სხდომებზე ჯერ კიდევ 1928 წელს. აქ ნ. მარი მიუთითებს, რომ ახლა იაფეტური თეორიის უძირითადესი პრობლემა ანუ ამოცანათა ამოცანა არის არა ის, რომ ვამტკიცოთ ენის, როგორც ზედნაშენის შეპირობება სოციალურ-ეკონომიური ფაქტებით (ეს საკითხი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია იაფეტოლოგებისათვის), არამედ მთავარია—შევძლოთ მატერიალისტური დიალექტიკის გამარჯვება და გამოყენება ენათმეცნიერებაში და ამ მხრივ ახალი ენათმეცნიერების ძირითადი მიღწევების გავრცელება.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მესამე ტომში გამოქვეყნებული შრომები: „იაფეტური თეორიის შესახებ“, „ენა და აზროვნება“ (არის ქართული გამოცემა. დოც. დ. კარბელაშვილის თარგმანი, სახელგამი, 1934 წ.), „პირველყოფილი აზროვნების საკითხი ენასთან დაკავშირებით“ (ბოგდანოვის წინააღმდეგ), „აზროვნების სტადიები ზმნა „ყოფნა“ წარმოშობასთან დაკავშირებით“, „ისტორიული პროცესის საკითხისათვის იაფეტური თეორიის გაშუქებით“ (არის ქართული გამოცემა, დოც. დ. კარბელაშვილის თარგმანი, სახელგამი, 1934 წ.), „ტერმინი“, „წიგნისა“ და „წერის“ წარმოშობა“, „კლასობრივი ბრძოლა სახარების ტექსტის ქართულ ვერსიებში“ და სხვ.

ენისა და აზროვნების სტადიებს ნ. მარი ასაბუთებს დიდძალი ენობრივი ფაქტებით. ხოლო ამ ენობრივი მასალების კვლევის საფუძველზე იგი დიალექტიკურად განსაზღვრავს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესს და მატერიალური კულტურის ისტორიის უაღრესად ახლო კავშირს ენასთან. ასეთ დასკვნებამდის მარი მიიყვანა მრავალი ენის თავისებურებათა მეცნიერულმა ცოდნამ. ენობრივი შემოქმედების თუ რა ფართო ჰორიზონტის დაუფლებითაა დასაბუთებული ენისა და აზროვნების მთლიანობისა და სტადიურობის პრობლემა, ისტორიული პროცესის საკითხი და თვით ენის შესახებ ახალი მოძღვრების ძირითადი დებულებები ამას ნათელჰყოფს მარტო ის ფაქტი, რომ მხოლოდ მესამე ტომში გამოქვეყნებულ შრომებში ნ. მარს გამოყენებული აქვს მაგალითები 101 სხვა სხვადასხვა ენიდან; ქართულს, სომხურს, მეგრულს, სვანურს, აფხაზურს, ჭანურს და მთელ რიგ ძველ ენებს რომ თავი დავანებოთ, მესამე ტომში, პირველად საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ახსნილია ავარული, ავესტური, ანდიური, ახვახური, ბერაიული, ინგუშური, ბასკური, ეგვიპტური, ძველი ებრაულისა და 70 კიდევ სხვა ენის მთელი რიგი ისეთი პრობლემები სიტყვათა შემოქმედებიდან და ენისა და აზროვნების სტადიალური განვითარებიდან, რომელთა ახსნა ვერ შესძლო ბურჟუაზიულმა ენათმეცნიერებამ ათეული წლების განმავლობაში.

ამრიგად, მესამე ტომი უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნია. იგი საბჭოთა ლინგვისტიკის დარგში მომუშავე ყველა სპეციალისტს და თვით მკითხველთა მასებს გამოადგებათ, როგორც ნამდვილი, საუკეთესო სახელმძღვანელო ახალი ენათმეცნიერების თეორიული პრობლემების შესწავლისათვის.

ეს ტომი საუკეთესო დოკუმენტია იმის გასაგებად, თუ რა სიმაღლეზე აიყვანა ნ. მარმა საბჭოთა ლინგვისტიკა და რა სიღრმით გადაჭრა მან ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი თეორეტიული საკითხები, რომლებიც მეტაფიზიკური ბურუსით იყო მოცული ბურჟუაზიული ლინგვისტების ხელში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარის შრომები პირველად გამოდის ასე სისტემატიური დალაგებით. ამ გამოცემას ხელმძღვანელობს მეცნიერებათა საკავშირო აკადემია და ნ. [illegible] მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია განზრახული [illegible] შრომების გამოცემა 10 ტომად. აქედან ჯერჯერობით გამოსულია ორი, პირველი (1933 წ.) და მესამე ტომი (1934 წ.), დანარჩენი ტომები გამოვა ახლოხანში. ამას გარდა, მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ნ. მარის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისათვის.

ვფიქრობ, რომ უკვე დროა ჩვენმა საგამომცემლო ორგანოებმა იზრუნონ ნ. მარის შრომების გამოსაცემად ქართულ ენაზე. ეს საკითხი მით უფრო მწვავედ დგას ახლა, რადგან ამ მხრივ ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით სხვა მოძმე რესპუბლიკებს.

მესამე ტომი ტექნიკურად დაბეჭდილია კარგად, საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე. როგორც პირველს, მესამე ტომსაც წინ უძღვის ნ. მარის შრომების ცნობილი კომენტატორის ამხ. ვ. აპტეკარის, კომენტარიო წინასიტყვაობა, რაც არასპეციალისტ მკითხველს საგრძნობლად გაუადვილებს წიგნის გაგებას.

**ალ. ღლონტი.**

# ტფილისში აიგება რვა ახალი სკოლა

**საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის** სასკოლო მშენებლობის სამმართველოში, სასკოლო მშენებლობის პერსპექტივების შესახებ 1935 წლისათვის, ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი:

საქართველოსთვის, კერძოდ ტფილისისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკავშირო სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. დადგენილებას სასკოლო მშენებლობის დაუყოვნებლივ გაშლის შესახებ. ამ დადგენილების შედეგად ტფილისში სასკოლო მშენებლობის დაუყოვნებლივ გაშლისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 4.730.000 მანეთის დახარჯვა.

ჩვენ დაკისრებული გვაქვს მომავალი სასწავლო წლის დასაწყისამდე ტფილისში ავაგოთ და მოვაწყოთ 8 ახალი, დიდი სასკოლო შენობა. ტფილისის საბჭოსთან შეთანხმებით, უკვე ამოვირჩიეთ ახალი სასკოლო შენობების ასაგები ადგილები, ორ-ორი ახალი სასკოლო შენობა, თვითეული 900 მოწაფისათვის, აგებული იქნება—ორჯონიკიძის, სტალინის და 26 კომუნ. სახ. რაიონებში, თითო ახალი სასკოლო შენობა. აიგება ლენინისა და კიროვის რაიონებში. ახალი სასკოლო შენობები იქნება სამ და ოთხ სართულიანი.

მშენებლობის დაწყება განზრახული გვაქვს 15 მარტიდან. ყოველ შემთხვევაში ამ რიცხვიდან ჩვენ შევუდგებით საჭირო დამხმარე აშენი მასალების მომარაგებას (ხრეში, ქვა, ქვიშა და სხ.) საამშენებლო ადგილებზე მიზიდვას. ახალი სასკოლო მშენებლობის საწარმოებლად ტფილისის საბჭოსთან არსდება სასკოლო მშენებლობის ტრესტი. გეგმები და პროექტები. უახლოეს დროში მზად გვექნება და მშენებლობის დაწყებას აღარაფერი დააბრკოლებს.

დაფინანსების მხრივ ასეთი მდგომარეობაა: მთელი თანხის—4.730000 მან. — 30 პროცენტი უნდა მივიღოთ მარტის განმავლობაშივე, ხოლო 70 პროცენტი მეორე და მესამე კვარტალში იმ ვარაუდით, რომ 1-ლი ოქტომბრისათვის სკოლები მზად იქნას გასახსნელად.

ამგვარად, 1935 წლის განმავლობაში ჩვენ შევსძლებთ მოვახდინოთ მესამე წყებაში სწავლების ლიკვიდაცია. 1936 წელს სასკოლო მშენებლობის პერსპექტივები ისეა გათვალისწინებული, რომ საჭირო აღარ უნდა იქნეს მეორე წყებაში მეცადინეობა.

მთლიანად კი მთელ საქართველოში მეორე და მესამე წყებაში მეცადინეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ახალი სასკოლო შენობების აგება უნდა დამთავრდეს 1938 წელს.

**სსრ. კავშირის** სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, რ. ს. ფ. ს. რ-ის განსახკომის საარქიტექტურო - საპროექტო ბიურომ დაამთავრა ქალაქებსა და სოფლებში სკოლების მშენებლობის ტექნიკური პროექტების დამუშავება. ყველა ტიპის სკოლა იმ ანგარიშით არის დაპროექტებული, რომ შემდეგში შესაძლებელი გახდეს დამხმარე ნაგებობათა დამატებითი გაფართოება.

ქალაქებში სკოლების პროექტები დამუშავებულია 880, 400 და 280 მოწაფის მოთავსების ანგარიშით,—სასოფლო სკოლები — 400, 280, 160 და 80 მოწაფისათვის.

როგორც ქალაქის, ისე სოფლის ყველა სკოლის პროექტები დამუშავებულია რამდენიმე ვარიანტი, რომელთა შერჩევა მინდობილი აქვთ სახალხო განათლების განყოფილებებს.

ქალაქის სკოლების ყველა პროექტი უკვე დამტკიცებულია. უახლოეს დღეებში დაამტკიცებენ სოფლის სკოლების პროექტებსაც.



სურათზე: ახალი სკოლის პროექტი 280 კაცისათვის.

ფართო მუშაობაა გაშლილი კასპის რაიონის კეთილმოწყობისათვის. მიმდინარეობს ახალი წყალსადენის მშენებლობა, შენდება ახალი საავადმყოფო 50 საწოლით, ახალი 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მთავრდება აბანოს მშენებლობა და სხვ.

სურათზე: სახელმწიფო ბანკის ახალი შენობა კასპში.

# ხელოვნება

## სახელმწიფო ოპერაში

სახელმწიფო ოპერის რეპერტუარი წელს ისე იყო აგებული, რომ მასში გამორჩენილი იყო მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ოპერები, როგორიცაა „კარმენი“, „ჰუგენოტები“, „ოტელო“, „სევილიელი დალაქი“, „ფაუსტი“ და სხვა. ახლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. ყველა ეს ოპერა შეტანილია სეზონის მეორე ნახევრის რეპერტუარში.

წელს, როგორც მკითხველებმა იციან, გადაწყვეტილი იყო კომპოზიტორ გ. კილაძის ახალი ქართული ორიგინალური ოპერის— „ბახტრიონის“ დადგმა, ვინაიდან ოპერის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მოსამზადებელი მუშაობის საჭირო ტემპით გაშლა, გადაწყვეტილია „ბახტრიონის“ დადგმა გადატანილი იქნას მომავალ სეზონში.

დამთავრებულია მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ერთერთ საუკეთესო მოცეკვავესთან, ლენინგრადის საოპერო თეატრის მსახიობ **ვახტანგ ჭაბუკიანთან**, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც ის მოცეკვავე **რატ. ვეჩესლოვასთან** ერთად დიდი წარმატებით გამოდიოდა.

ვ. ჭაბუკიანთან ერთად მოწვეულია ლენინგრადის საოპერო თეატრის მოცეკვავე ქალი **ლ. ჩიქვაიძე**. ჭაბუკიანი და ჩიქვაიძე ტფილისში ჩამოვლენ მაისის პირველ რიცხვებში. მათი მონაწილეობით დაიდგმება ბალეტი „დონ-კიხოტი“.

ოპერის სეზონი წელს გასტანს 3 ივნისამდე. სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრება საქართველოს ქალაქებში. გარდა სოხუმისა, ფოთისა და ქუთაისისა საოპერო წარმოდგენები გაიმართება ისეთ ქალაქებშიც, სადაც ოპერა არასოდეს არ ყოფილა (თელავი, ჭიათურა, ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა).

★

### ქართული ხალხური მუსიკის კონცერტები სომხეთში

გუშინ სომხეთიდამ ტფილისში დაბრუნდა ზუგდიდის მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელიც **ბ. აკობიას** ხელმძღვანელობით და **სახ. არტ. კ. ფოცხვერაშვილის** მეთაურობით მივლინებული იყო იქ ქართული ხალხური მუსიკის კონცერტების ჩასატარებლად.

ანსამბლმა გამართა სულ ექვსი კონცერტი, რომლებმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ერევნის კონსერვატორიაში ადგილობრივი კომპოზიტორების, მწერლების და მსახიობების თაოსნობით მოეწყო კ. ფოცხვერაშვილის მოხსენება ქართული მუსიკის შესახებ.

დღეს ეს ანსამბლი მართავს ეთნოგრაფიულ კონცერტს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

## დასასვენებელი სახლები

### სამხედრო მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის

კოჯორი ბავშვთა საზაფხულო კურორტია. აქ, ყოველ ზაფხულობით გადაჰყავთ ქალაქებიდან ბავშვთა სახლებისა და ბაღების აღსაზრდელები, რომლებსაც კურორტზე შემოდგომამდე სტოვებენ.

მომავალი ზაფხულიდან კოჯორში გადაყვანილი იქნებიან წითელი არმიის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები. მათთვის, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ და საგარეუბნო კურორტების სამმართველომ გამოჰყვეს სამი საგარაკო სახლი.

გამოყოფილია კომისია აღნიშნული სახლების შესაკეთებლად და ა.წ.დ.ა. სანიტარულ სამმართველოზე გადასაცემად.

## შეცდომების გასწორება

სახელგამის მიერ გამოცემულ „სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში“ — გაპარულია შემდეგი მთავარი შეცდომები:

4 გვ. ზევიდან მე-17 სტრ. წერია: „რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭო“.—უნდა იყოს „საბჭოების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი“.

11 გვ. ქვევიდან მე-4 სტრ. წერია: „იმ შავსიელთა შვილებისათვის“. უნდა იყოს: „შავსიელთა იმ შვილებისათვის“.

14 გვ. ზევიდან მე-11 სტრ. წერია: „მშრომელების“.—უნდა იყოს „შრომა-დღეების“.

14 გვ. ზევიდან მე-14 სტრ წერია: „ა) შეაქვს კანონით დაწესებული სახელმწიფო გადასახადები და სადაზღვევო გამოსაღები“.—უნდა იყოს: „ა) უხდის სახელმწიფოს კანონით დაწესებულ გადასახადებს და ისტუმრებს სადაზღვევო გამოსაღებს“.

გვ. 17 მე-15 პუნქტის მე-2 აბზაცი უნდა გასწორდეს ასე: „არტელის გამგეობა ამუშავებს და კოლმეურნეთა საერთო კრება ამტკიცებს ყველა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოს გამომუშავების ნორმებს და თვითეულ სამუშაოს შეფასებას შრომა-დღეებში“.

19 გვ. ზევიდან მე-12—14 სტრ. წერია: „შინასაკოლმეურნეო საჭიროებისათვის გადარიცხული 10—15 პროცენტი გალეწილი პურიდან“.—უნდა იყოს: „გალეწილი პურის იმ 10—15 პროცენტიდან, რომელიც გადაირიცხება შინასაკოლმეურნეო საჭიროებისათვის“.

20 გვ. ზევიდან მე-4 სტრ წერია: „არაკეთილსინდისიერი მუშაობისათვის“. უნდა იყოს: „სამუშაოს ცუდი ხარისხით შესრულებისათვის“.

**სახელგამი.**

# მზადება კიროვის რაიკომის მეორე პლენუმისათვის

ტფილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის მე-2 პლენუმის მოწვევა განზრახულია 20 მარტისათვის.

რაიკომი უკვე შეუდგა მზადებას პლენუმისათვის. 10 მარტს, რაიკომის მდივნის ამხ. იშხანოვის კაბინეტში შესდგა თათბირი პარტორგანიზაციების მდივნებთან ერთად. თათბირმა განიხილა საკითხი პლენუმის მზადების შესახებ.

აქვე გამოყოფილ იქნენ ბრიგადები, რომლებიც შეისწავლიან რაიონის ოც მთავარ პარტორგანიზაციას, განსაკუთრებით იმ მხრივ, თუ როგორ არის დაყენებული პარტჯგუფების მუშაობა, როგორ ხელმძღვანელობენ პარტკომები მათ, როგორია ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა და რა მუშაობა ტარდება ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

თათბირმა ამ საკითხების ძირფესვიანად შესწავლისათვის შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები. ბრიგადები იმუშავებენ ამ ღონისძიებების მიხედვით.

# ბავშვთა ბაგები და მოედნები

### მახარაძის რაიონში

საწარმოო და საზოგადოებრივ მუშაობაში კოლმეურნე ქალთა აქტიურად ჩაბმის მიზნით, მახარაძის პარტრაიკომის ბიუროს დადგენილებით, რაიონის კოლმეურნეობებში პირველი აპრილისათვის უნდა გაიხსნას 51 საბავშვო მოედანი და 43 საბავშვო ბაგა. სამი მოედანი და სამი ბაგა გაიხსნება გურიანთის კოლმეურნეობაში, 2 მოედანი და 2 ბაგა ნატანებში და სამ-სამი — შრომაში. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყობა 5 საბავშვო მოედანი, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 3 მოედანი.

განზრახულია კოლმეურნეთა პატარა ბავშვების მთლიანად ჩაბმა ბაგებსა და მოედნებში.

# ტფილის-თელავის გზატკეცილზე

### მიმოსვლა აღდგენილი იქნება აპრილში.

გასული წლის ივლისში სტიქიურად ადიდებულმა მდ. იორმა ნახევარი კილომეტრის მანძილზე დაანგრია თელავ - ტფილისის გზა და დააზიანა ხიდი. მდინარემ იცვალა მიმართულება და ხიდი განზე დატოვა.

საქგზატრანსმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი სტიქიისაგან მიყენებულ ზიანის გამოსწორებას, გზაზე ნორმალური მიმოსვლის აღსადგენად შედგენილი იყო მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. აღდგენითი სამუშაოების წარმოება დაეკისრა საგარეჯოს რაიონის საგზაო განყოფილებას, რომელიც მუშაობას გ. წ. ნოემბერში შეუდგა.

გუშინ სპეციალურმა კომისიამ ამხ. **ივანე ქურდაძის** მეთაურობით შეამოწმა სამუშაოების მიმდინარეობა. ნორმალური მიმოსვლის აღდგენისათვის საჭიროა ნახევარ კილომეტრზე გზის ახალი ტრასის გაჭრა და დამბების აგება მდინარის ძველ კალაპოტში გადასაგდებად. ტრასა ძირითადად უკვე გაჭრილია და მთავრდება ორი ფიხ-კონის დამბის შენება. სამუშაოები ძირითადად მოსახლეობის შრომით მონაწილეობით წარმოებს.

კომისიის დასკვნით სამუშაოების დამთავრებას და გზაზე ნორმალური მიმოსვლის აღდგენა შესაძლებელი იქნება აპრილის შუა რიცხვებისათვის.

# თოვლი დასავლეთ საქართველოში

**წალენჯიხა**, 11 მარტი. (საქ. კორ.) დიდი წვიმის შემდეგ 10 მარტს წალენჯიხის რაიონში მოვიდა თოვლი. რაიონის ცალკე სოფლებში თოვლის სიღრმე მესამედ მეტრს აღწევს. თოვა გრძელდება დაზიანდა სატელეფონო ქსელი.

# ფიზკულტურა და სპორტი

### ქალაქის ნაკრები—ტ.ს.ო.კ.

დღეს, 12 მარტს, „დინამოს“ სტადიონზე შესდგება ამხანაგური შეჯიბრება ქალაქის პირველ ნაკრებ გუნდსა და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის გუნდს შორის. დასაწყისი დღის 1 საათზე.

4 ნახ. საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდება მეორე შეჯიბრება. თამაშობენ ცეკავშირის და საპატიმრო ადგილების სამმართველოს გუნდები.

### ძალოსნები მიემგზავრებიან ბაქოში

დღეს ბაქოში მიემგზავრება საქართველოს პროფკავშირების საუკეთესო ძალოსნები. მოკრივეთა გუნდის შემადგენლობაში შედიან: კანდელაკი, ცისტრიკოვი, ავეტისოვი, ლარიონოვი (ტფილისი) და ანუფრიკოვი (სოხუმი), მოჭიდავეთა გუნდში: მარტიროსოვი, თიკანაძე, კობაიძე, მელნიკოვი, ჯავახიშვილი (ტფილისი), და ალენიკოვი (ბათომი). სიმძიმეების აწევაში: ცირცვაძე, ქლენტი და ანდერსონი (ტფილისი).

ა.-კ. საგადარჩევო შეჯიბრების შედეგში. შერჩეული ძალოსნები გაემგზავრებიან მოსკოვში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა საკავშირო ძალოსნების შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდება 22-24 მარტს.

ფიზკულტურის ტექნიკუმის მსმენელი ამხ. ცირცვაძე, რომელიც მიემგზავრება ამიერკავკასიის საგადარჩევო შეჯიბრზე ბაქოში.

# „ჩვენი საყვირის“

### მე-1000 ნომერი

14 მარტს გამოდის ტფილისის სტალინის სახელობის ორთქლმავლების სარემონტო ქარხნის ყოველდღიური გაზეთის „ჩვენი საყვირის“ მე-1000 ნომერი. ამ დღის რედაქცია უშვებს სპეციალურ საიუბილეო ნომერს.

# ახალი სახლები

**საბინაო - საამშენებლო ამხანაგობა** „ვაკე“ ტფილისში კალანდაძის ქუჩაზე ამთავრებს ახალ 4 სართულიან სახლის აგებას. მშენებლობაზე დაიხარჯება 335 ათასი მანეთი.

**საბინაო - საამშენებლო ამხანაგობა** „განათლების მუშაკმა“ დაამთავრა 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება ცხაკაიას ქუჩაზე.

# პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი იუწყება, რომ ა. წ. 14 მარტს ტრამვაელთა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. 182) მოწვეულია რაიკომის პლენუმი რაიონის პარტაქტივთან ერთად.

# სესხის მფლობელთა და მეანაბრეთა დღე

### გაიცა 26.585 მანეთის მოგება

15 თებერვლიდან 15 აპრილამდე ქუთაისის რაიონში ტარდება სესხის ობლიგაციების შემოწმება. რაიშემნახველმა სალარომ გამოყო 30 ბრიგადა. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ობლიგაციების შესამოწმებლად. 5 მარტამდე ქალაქად ობლიგაციები შეუმოწმეს 3.919 მოქალაქეს, 31 წარმოება - დაწესებულებაში, სადაც აღმოჩენილ იქნა 432 მოგება, გაცემულია 13,460 მანეთი. სოფლად შემოწმებულია 6 სასოფლო საბჭოს 27 კოლმეურნეობა. შემოწმებულია 2326 კოლმეურნის ობლიგაცია, აღმოჩნდა 405 მოგება. გაიცა მოგების სახით 9.150 მან. ობლიგაციები შეუმოწმდა აგრეთვე 1.477 ერთპიროვნულ მეურნეს. აღმოჩნდა 221 მოგება, გაიცა 3.975 მანეთი. სულ 15 თებერვლიდან 5 მარტამდე მოგების სახით გაიცა 26.585 მანეთი.

# წერილები რედაქციისადმი

## ლეგალიზებული ხალტურა

— ბილეთი არ არის! ჩვეულებრივად ასეთი პასუხით ისტუმრებენ მგზავრებს „სოიუზტრანსის“ ქუთაისის და ონის კანტორები. ამ ორ ქალაქს შორის ავტომანქანით მგზავრობა 14 მან. 95 კაპ. ღირს, მაგრამ ბილეთი იშვიათ გამონაკლისთა ხვედრია. ესენი გახლავთ კანტორის მუშაკების ნაცნობ-მეგობრები, „უცხო“ პირები კი შოფერს უვარდება ხელში.

ბილეთებს ცოტას ყიდიან, მანქანაზე ყოველთვის რჩება რამოდენიმე თავისუფალი ადგილი. შოფერს გზაში ხვდებიან მგზავრები, იხდიან 30—40 მანეთს და სხდებიან მანქანაში. მეხალტურე შოფერი თავისუფალი ადგილების შევსებას არ სჯერდება, ის 15 კაცით მეტს მაინც ჩასვამს მანქანაში და არხეინად განაგრძობს გზას. ავტომანქანა № 11—08-ის შოფერი — მელაშვილი ასეთი ხალტურით 1000-მდე მანეთს აკეთებს დღიურად. მაგრამ ვინ არის გამკითხავი?

„სოიუზტრანსის“ კანტორებში ბილეთები ნაკლები რაოდენობით იყიდება, შოფერს გზაში არავინ უწევს კონტროლს, მეხალტურე შოფერებს არ სჯიან. იბადება კითხვა: შეთანხმებულად ხომ არ მუშაობენ და ძმაბიჭურად ხომ არ იყოფენ „შემოსავალს“ კანტორის მუშაკები და შოფერი?

უ. გოგიშიძე.
ქ. ფრუიძე.
გ. ჯოხაძე.

## ხვალ, ზეგ...

1933 წლის მარტს, აბაშის რაიაღმასკომის განკარგულებით, სეფიეთისა და ონტოფოს კოლმეურნეობების ფართობზე მოსჭრეს 70 კუბ. საშენი თხმელის წნელი. ეს წნელი მოიხმარეს სოფ. ლეხაინდრაოსთან მდ. ცხენისწყლის დამბის გასაკეთებლად.

დაპირების თანახმად, აბაშის რაიონის წყალთა სამმართველოს აღნიშნული კოლმეურნეობებისათვის უნდა მიეცა წნელის საფასური (40-50 მან. კუბ. საჟენში.).

ასეთი იყო დაპირება, მაგრამ შესრულებას არაფერი ეშველა. ორი წელია კოლმეურნეობის თავმჯდომარეები რიგრიგობით დადიან ხან რაიაღმასკომში, ხან წყალთა სამმართველოში, მაგრამ ყოველთვის ასეთი პასუხით ისტუმრებენ:

— შემოიარეთ ხვალ.

— შემოიარეთ ზეგ!

ეს „ხვალ“ და „ზეგ“ დაუსრულებლივ პიანურდება.

როდემდე გაგრძელდება კოლმეურნეობათა ინტერესების ასე აბუჩად აგდება?

პ. ნადარეიშვილი.

## ტელეფონის ქსელის რეკონსტრუქცია ჭიანურდება

გასულ წელს ქუთაისში დაიწყო ტელეფონის ქსელის რეკონსტრუქცია, ქსელი სამონტაჟოდ მზად უნდა ყოფილიყო მიმდინარე წლის პირველ თებერვლისათვის, მაგრამ მშენებლობა ისე ნელი ტემპით მიდიოდა, რომ ეს ვადა დაირღვა. მშენებლობის უფროსმა ქ. მესხმა თვითნებურად შეცვალა გეგმა და ტელეფონის ქსელის სამონტაჟოდ მომზადების ვადად 1 სექტემბერი დანიშნა.

საქ.კ.პ.(ბ) ქუთაისის კომიტეტს არა-ერთხელ გამოუტანია დადგენილება ამ მშენებლობის ტემპების გაძლიერების შესახებ, მაგრამ შედეგი არა ჩანს. კავშირგაბმულობის კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველო და მისი ქუთაისის განყოფილება თავს არ იწუხებს.

ვ. ლ.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

| დღეს, 12 წარმოდგ. [illegible] გედების ტბა დასაწყ. 12 საათზე. საღ. 10 აბ. 10 წარ. რიგოლეტო | 13 მარტს 7 აბონ. 9 წარ. იომ-ჩიო-სან (ქრიზანტემ ფლაი) | 14 მარტს 2 აბონ. 10 წარ. გედების ტბა |
|---|---|---|

ის აბონენტები რომლებსაც არ ეძლევათ [illegible] 10 გადასახდელი თავისათვის წარმოდგენის ერთი დღით ადრე. წარმოდგენაზე არ დაიშვებიან და მათი ადგილები გაიყიდება.
სალარო ღიაა დღისით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს.
დასაწყისი საღამოს 8 ს.

| 12 მარტს [illegible] 8 6 წარ. განგაში | 14 მარტს 11 აბონ. 6 წარ. შლეგი | 15 მარტს 12 აბონ. 6 წარ. შლეგი |
|---|---|---|

ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის
12 მარტს, დღის 12 საათზე
განგაში
შეღავათიან ფასებში.
სალარო ღიაა 11—2. 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

| 12 მარტს აბონ. გარეშე | წარმოდგენა № 106 მზის დაბნელება საქ. |
|---|---|
| 14 მარტს აბონ. № 1 ეე-6 წარმ. | წარმოდგენა № 107 ურიელ აკოსტა |

აბონემენტთა თანახმად სავალდებულო მეექვს გადასახადი.
სალარო ღიაა 11 2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე

ადგილობრივ მრეწველობის კომისარიატის 1935 წ. 22 თებ. რგოლის დადგენილებით ხდება
არტ. „სილ მაზის“ ლიკვიდაცია.
ყოველგვარი პრეტენზიები გ. ნიბილება 20 მარტამდე ლიკვიდკომთან, ურიცკის ქ. № 72.
7108 ლიკვიდკომი.

| ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 | დადგმის მე-5 კვირა მხიარული ახალგაზრდობა [illegible] საჩუქარი |
|---|---|
| დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11 | მცდარ კვალზე. 1 სერია |
| ტემპი 6-30 8, 9-30 11 | ახალი მხატვრული ფილმი ოქრო ლამე რეჟისორი [illegible] |
| ლუქსემბურგის სახ 6-30, 8, 9 30, 11 | ახალი მხატვრული ხმოვანი ფილმი [illegible] |
| [illegible] კომ. სახ 6-30, 8-30, 10-30 | მხატვრული ფილმი ზღვის ძირი |

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი
დღეს, 12 მარტს
ქ. ზუგდიდის მეჩონგურეთა ანსამბლის
ეთნოგრაფიული კონცერტი
ბესარ აკობიას ხელმძღვანელობით.
შინაარსი 1. [illegible] სახ. არტ ქ. ფოცხვერაშვილი.
2 გურული, [illegible] სიმღერები.
3 [illegible]
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 8 საათზე. 7100

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები დაკარგულია. ჩ. ბ.
კავშირის წიგნაკი და სამხედრო ბილეთი [illegible] 7103
პასპორტი № 155739 ირაკლი ნესტორის-ძე [illegible] 7105
[illegible] „წითელი სხივის“ სახ. კოლმეურნეობის [illegible] ბეჭედი [illegible] № 2—087 [illegible] № 6

თამარა კასაბაშვილი და სონა ანიკაშვილი ოჯახის წევრებით იუწყებიან სიძის
ლევან ვარდიაშვილის
გარდაცვალებას. 7096

ექიმი
ს. ი. ანდრეევა
შინაგანი სნეულებანი [illegible] 70е3 2-1

ტფილისის კავშირის მატარებლების კონტროლიორები იუწყებიან მატარებლის კონტროლიორის
გიორგი კობახიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12 მარტს სადგურის ქ. № 35, 4 საათზე. 7098

ვამოც
ბუხჰალტერი
[illegible] მოკლე ხანში ქართულ და რუსულ ლამაზ წერას, არითმეტიკას, მოკლე რიცხვებს, მოანგარიშეობას და ბუღალტერიას. [illegible] № 6 მიღება 6—8 საათამდი. 7097

ექიმი
ა თ. სავანელი
[illegible] ავადმყოფთა მიღება განს უფროებით: სიფილისი, ტრიპერი და კანის სნეულებანი. მიღება: დილის 9-12 და საღ. 6-9 ს. მისამართი კოჯორის ქ. № 59. 6490 7-1

მეჯ ა ი ფურცელაძე
[illegible] კანის და ვენერიული სნეულებანი, [illegible] „914“ [illegible] ქართულებათა მკურნალობა ავადმყოფთა მიღება 6—8 ს. კალიაევის ქ № 10 [illegible]

ქმარი ანდრია შვილებით: ჯოგო, აქსენტი, გრიშა, და დავითი ცოლშვილებით ქალიშვილები: მინადორა, ზინა შენგელიები: იუწყებიან მეუღლის და დედის
ეფა შენგელიას
გარდაცვალებას. 7112

ა.-კ. სატყეო ინსტიტუტის № 11 ჯგუფის სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტები იუწყებიან ამავე ჯგ. სტუდენტ გიორგი ვარდიაშვილის მამის
ლევან ვარდიაშვილის
გარდაცვალებას. 7114

მეუღლე გოგი კვეზერელი, მშობლები: ისაკი, ნინო, ძმები: გოგია, გრიშა, ოთარი გელაძეები, მაზლი დათიკო მეუღლით კვეზერელები, სიძე ალექსი ცოლით გორგიშვილები იუწყებიან
მარო გელაძე—კვეზერელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მარტს ახალშენის ქ. 7106

ცაცუ ყურაშვილისა შვილებით: მიხეილი, ნიკოლოზი, ივანე, და თამარა იუწყებიან პირველის რძლის და დანარჩენების ბიცოლის
ფატო კეშელავა—თოფურიძის
გარდაცვალებას. 7107

ქეთევან სიჭინავა შვილებით: ანტონი, ვალიკო ცოლშვილით და პეტია იუწყებიან მამის და ბაბუას
ერისტო ლევანის-ძე ბოჩოლიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მარტს. 7104

ზაჰესის დირექცია და ინჟ.-ტექნიკოსთა კოლექტივი იუწყებიან ამავე წარმოების მთავარ ბუხჰალტერის გიგო ლომიძის მამის
ნიკოლოზ გლახუას-ძე ლომიძის
გარდაცვალებას 7101

ა.-კ. სოფლის მეურნეობის მექან. და ელექტ. სამეცნ. საგამოკვლევო ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურენი და სამეცნიერო მუშაკები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის ამხ. გ. კვეზერელის ცოლის
მარო კვეზერელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მარტს. 7102

მისამართი: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 24. ტელეფონები რედაქტორის 3—42—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—67—61. სამრეწველო განყოფილების 3—78—40, სტამბის 3—27—04. გამომცემლობის—3—51—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კომუნისტი“ [illegible] ქ. № [illegible] მთავლიტის რწმუნებული ა 9411